# საერთო გაზეთი

№43 (635)
ოთხშაბათი
24 ნოემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## მიხეილ სააკაშვილმა უნდა იცოცხლოს, მაგრამ მიშიზმი უნდა მოკვდეს!






სააკაშვილის მმართველობის სტილით შუასაუკუნეები და გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკური რეჟიმი ერთად დაბრუნდა 21-ე საუკუნის საქართველოში და აგერ უკვე 18 წელიწადია, საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს კვლავ იქ აცხოვრებს – შუა საუკუნეებში და ბოლშევიზმში

### ვინ შემოაგზავნა „რომანტიკული ქართველი" ცომაიას ტრაილერით საქართველოს დასაპყრობად

### ჯოჯოხეთის მოციქულები

### ჩვენს გარშემო ყველას თავისი ინტერესები აქვს. ერთადერთი უინტერესო ქვეყანა არის საქართველო, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე ანადგურებს

## ნერონის რეინკარნაცია



## მიშას პირადი ექიმის საჯარო აღიარება: მიშას ფსიქიატრი ჭირდება!





### აფრაკი ბულაძეები

### სწავლების ასეთ ფორმაზე გადასვლა თუ მოახერეს, საქართველოში ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას მოსპობენ

## კოკა მორგოშია: „კონსერვატიული მოძრაობა" არის პარტია, რომელიც ნაციონალებს საერთოდ გააქრობს პოლიტიკური ველიდან





# ჯალათი ციხეში!
# არა ნაცებს! არა ბოროტებას!

# მიხეილ სააკაშვილმა უნდა იცოცხლოს, მაგრამ მიშიზმი უნდა მოკვდეს!



**სააკაშვილის მმართველობის სტილით შუასაუკუნეები და გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკური რეჟიმი ერთად დაბრუნდა 21-ე საუკუნის საქართველოში და აგერ უკვე 18 წელიწადია, საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს კვლავ იქ აცხოვრებს – შუა საუკუნეებში და ბოლშევიზმში**

**ვახტანგ ხარჩილავა:**

„არ არის მკვეთრი განსხვავება რეალურსა და ირეალურს, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის. ესა თუ ის მოვლენა, თავისთავად, არ არის მხოლოდ სიმართლე ან ტყუილი! ის შეიძლება ორივე ერთად იყოს“, — ამბობდა ინგლისელი დრამატურგი ჰაროლდ პიტნერი.

ამ წერილს რომ ვწერ, თავისუფლების მოედანზე მომიტინგეები მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებს ითხოვენ!

მათი აზრით, სააკაშვილი უდანაშაულოა, ხოლო, რაც მის წინააღმდეგ ხდება, ეს წმინდაწყლის პოლიტიკური შურისძიებაა.

ცოტა ხნით ადრე, პარლამენტის წინ სხვა მიტინგი გაიმართა, სადაც მიტინგის მონაწილეები შემზარავ ამბებს ჰყვებოდნენ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ და თანაც ჰყვებოდნენ არა სხვისგან გაგონილ და ყურმოკრულ ამბებს, არამედ საკუთარ თავზე გადახდენილ უმძიმეს ისტორიებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი მტკიცებულება, უამრავი დოკუმენტური მასალა, უამრავი მოწმე, უამრავი დაზარალებული, სააკაშვილის მხარდამჭერები მაინც ჯიუტად ამტკიცებენ, რომ სააკაშვილი უდანაშაულოა.

— უდანაშაულო როგორ არის, როცა ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი? — უკვირთ მოქალაქეებს, რომლებიც გულწრფელად არიან გაოცებულნი სააკაშვილის მხარდამჭერების გაუტეხლობითა და სიჯიუტით და ყოველივე ამას მათი უტიფარი და თავხედური ხასიათით ხსნიან.

ნაწილობრივ, შეიძლება, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს, მაგრამ ეს არ არის იმის მხოლოდ ერთადერთი ფაქტორი, რომ ადამიანებს გულწრფელად სჯერათ სააკაშვილის უდანაშაულობა, თუმცა, როგორც ვთქვით, არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებები, რომ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი.

„ნაცმოძრაობის“ ოპონენტებს გულწრფელად უკვირთ, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი უარყო, ეს ყველაფერი არ დაინახო და, ადამიანურობის ნატამალი თუ გაქვს შერჩენილი, სინდისის ქენჯნამ არ შეგაწუხოს.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იციან, რა დანაშაულებია ჩადენილი „ნაცმოძრაობის“ დროს, თუმცა ისინი ამ დანაშაულებს დანაშაულებად არ თვლიან, რადგან მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელი იყო მკაცრი პოლიტიკის გატარება, ნულოვანი ტოლერანტობა, მკაცრი ხელი — სხვანაირად სახელმწიფოს შენობა ვერ აშენდებოდა.

„ნაცმოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერების ტრაგედია სწორედ აქედან იღებს სათავეს — მათ ჰგონიათ, მათ მტკიცედ სჯერათ, რომ სახელმწიფო სწორედ ამგვარი მეთოდებით, ამგვარი მკაცრი, სასტიკი და ულმობელი ხერხებით უნდა შენდებოდეს.

მათ თავიანთი მოსაზრების გასამყარებლად არგუმენტებიც მოჰყავთ.

ერთ-ერთი ყველაზე „მყარი“ არგუმენტი, რასაც ისინი ხშირ-ხშირად იშველიებენ, დავით აღმაშენებლის სახელია.

— იცით თუ არა თქვენ, რომ დავით აღმაშენებელს მის სიცოცხლეში ძაღლთაპირ დავითს ეძახდნენ?

დავითი ულმობელი და დაუნდობელი იყო ყველას მიმართ,





ვინც სახელმწიფო ინტერესებს ღალატობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ისტორიას შემორჩა, როგორც უდიდესი პოლიტიკოსი, რომელმაც საქართველოს არსებობის მანძილზე ყველაზე ძლიერი და ძლევამოსილი ქართული სახელმწიფო შექმნა.

სააკაშვილმაც შექმნა ახალი ქართული სახელმწიფო და ეს არის მთავარი, რის გამოც მას მომავალი ბევრ შეცდომას ჩამოაწერს — ასეთია ნაციონალების მოსაზრება სააკაშვილის მოღვაწეობის შესახებ.

დავიწყოთ იმით, რომ აბსოლუტურად დემაგოგიური და მკრეხელურია აღმაშენებლისა და სააკაშვილის შედარება თუნდაც იმიტომ, რომ აღმაშენებელმა მართლაც უძლიერესი ქართული სახელწიფო შექმნა, სააკაშვილმა კი შექმნა სახელმწიფო-ბუტაფორია, სახელმწიფო-პოტიომკინის სოფელი, რომელიც ერთი წკიპურტის წაკვრით ხუხულასავით დაიშალა, ხოლო მისი მთავარსარდალი — „მიხეილ აღმაშენებელი“, შიშისგან ჩასვრილი, მიწაზე ხოხავდა და ჰალსტუხს ჭამდა.

დავით აღმაშენებელი არა მარტო თავისი აღმშენებლობითი საქმიანობით არის დიდი პიროვნება, არამედ, დიდი პიროვნებაა თავისი დიდი სულიერებითა და ადამიანური თვისებებით, რისი გვირგვინიც გახლავთ მისი „გალობანი სინანულისანი“.

სააკაშვილი თავის „გალობანი სინანულისანის“ რომ დაწერს, აღმაშენებლობაზე მერე გველაპარაკოს...

●

თქვენ ხშირად მოგიკრავთ ყური ასეთი დიალოგისთვის:

— რა ეშველება ამ ქვეყანას?

— სტალინი გვინდა! სხვა ვერავინ დაალაგებს ამ არეულ-დარეულ სიტუაციას.

სტალინი საიდან მოვიყვანოთ — 68 წელია, რაც გარდაიცვალა, ამიტომ, იქნებ, სააკაშვილის ხარჯზე გადავიაროთ უფრო იოლად?

სააკაშვილი საზოგადოების იმ ნაწილის შეკვეთის პროდუქტია, რომელსაც ჰგონია, რომ სახელმწიფო სწორედ იმ მეთოდებით უნდა იმართოს, როგორითაც სააკაშვილი მართავდა — მათრახით, როზგით, შიშით, დასჯის უმკაცრესი წესებით, ქვის გულითა და რკინის ხელებით.

სააკაშვილის მმართველობის სტილით შუასაუკუნეები და გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკური რეჟიმი ერთად დაბრუნდა 21-ე საუკუნის საქართველოში და აგერ უკვე 18 წელიწადია, საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს კვლავ იქ აცხოვრებს — შუა საუკუნეებში და ბოლშევიზმში.

**ყველაზე პარადოქსული ის არის, ფეოდალიზმისა და ბოლშევიზმის ამ უცნაურ ნაზავს დემოკრატიას რომ უწოდებდნენ ჩვენი დასავლეთელი მეგობრები, ხოლო ამ ნაზავის შემოქმედს დემოკრატიის შუქურას რომ ეძახდნენ.**

დღემდე ამოუხსნელ ამოცანად რჩება, სად ნახეს ამ დალოცვილებმა ისეთი დემოკრატია, სადაც ადამიანი აბსოლუტურად დაუცველი და უძლური იყო სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის წინაშე, რომელიც დაუნდობლად ანადგურებდა ადამიანებს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად.

სააკაშვილი და მისი სადამსჯელო რაზმი, „ნაცმოძრაობა“ დაჟინებით იმეორებდნენ, რომ ისინი პროდასავლური ძალაა, თუმცა დასავლეთს არასოდეს გაუპროტესტებია და არასოდეს უთქვამს: რატომ ეწევით ჩვენს დისკრედიტაციას? თქვენ რა საერთო გაქვთ დასავლეთთან ან დემოკრატიასთანო.

ეს მრავალმნიშვნელოვანი დუმილი დასავლეთის მხრიდან დღემდე გრძელდება — დასავლეთს დღემდე არ დაურქმევია თავისი ნამდვილი სახელი არც სააკაშვილისთვის და არც მისი სისხლიანი რეჟიმისთვის.

სწორედ ამის ბრალია ის, რაც დღეს საქართველოში ხდება და რომელიც არავინ იცის, რა საბედისწერო შედეგებით შეიძლება დამთავრდეს ქვეყნისთვის.

არ არის გამორიცხული, ჩვენ კვლავ შუა საუკუნეებში და ბოლშევიზმში დაგვაბრუნონ და ეს უბედურება კვლავ დემოკრატიის სახელით, დემოკრატიის დროშის ქვეშ მოხდეს.

●

ჩვენ ხშირად გამოვთქვამთ გულწრფელ გაკვირვებას, როგორ შეიძლება იყო ნორმალური ადამიანი და მხარს უჭერდე „ნაცმოძრაობას“, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციას აქვს გაკეთებული?

თუ ნორმალური ადამიანი ხარ, როგორ შეიძლება სააკაშვილის





ფანი იყო და ხელისუფლებაში კვლავ მისი მობრუნება გინდოდეს?

როცა მკვლელებს, მოძალადეებს, ადამიანების მწამებლებს, რეკეტიორებს უჭერ მხარს, შენც იგივე ხარ, როგორებიც არიან ისინი, ვისაც მხარს უჭერ.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ამბავი, რომ ამ ტიპის ადამიანების რიცხვი, თუ არჩევნების შედეგებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ნახევარ მილიონს აღწევს, რაც ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, უკიდურესად საგანგაშო ციფრია.

სამწუხარო რეალობაა, რომ დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო რკინის ხელით უნდა იმართებოდეს.

მერე რა, რომ სააკაშვილის დროს ადამიანებს ქუჩაში ხვრეტდნენ, ციხეებში ყრიდნენ, კლავდნენ, აწამებდნენ, ქონებას ართმევდნენ, სამაგიეროდ, სააკაშვილი ქართულ სახელმწიფოს აშენებდა!

აბა, როგორ გინდათ — კაცმა სახელმწიფოც აგიშენოთ და არც არავინ მოკლას, არც არავინ დაიჭიროს, არც არავის არაფერი წაართვას?

ეგრე სახელმწიფო ვერ აშენდება, ძმაო!

ასეთია ნაცების ლოგიკა.

**ყელში ძმრად ამოადინეს ნაცებმა ქართველ ერს მათ მიერვე შეთხზული მითი, რომ ვითომ სახელმწიფო აგვიშენეს და ამის გამო ყველა ცოდვა და ყველა დანაშაული უნდა ჩამოვწეროთ.**

სახელმწიფოს მშენებლობა მხოლოდ გზების გაყვანა, ხიდების, კორპუსების მშენებლობა არ არის.

ნაცებმა მათ მიერ „აშენებულ“ ქართულ სახელმწიფოს ქართული სული გამოაცალეს, იმ საყრდენის მოშლა და მორღვევა სცადეს, რაზეც დგას, ზოგადად, სახელმწიფო



და ერი, რომელსაც ეს სახელმწიფო ეკუთვნის.

მიხეილ „აღმაშენებელი“ არ იყო, ქართველ გოგო-ბიჭებს, 12–13 წლის ბავშვებს, ბუჩქებისკენ რომ მიუთითებდა?

ნაციონალებს და მათ კრამიტდაცურებულ ბელადს ახალი ქართველის — უჯიშო, უფესვო, უსამშობლო არსების გამოყვანა უნდოდათ და ამ „დიად“ მიზანს არც მალავდნენ.

**ნაციონალები ხლისტებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ქართველებს, ხლისტები კი ქართულ სახელმწიფოს, ცხადია, ვერ ააშენებდნენ.**

●

გარკვეული კატეგორიის ადამიანთა ბუნება ასეა მოწყობილი: მათ უხარიათ, როცა ხელისუფლება ვიღაცებს მკაცრად სჯის, ვიღაცებს ციხეში სვამს, ვიღაცებს ქონებას ართმევს, ვიღაცებს ფიზიკურად უსწორდება, რადგან ხელისუფლება თავის ქმედებებს ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს ყველაფერი მათთვის, მოქალაქეებისთვის, მათი ინტერესების დასაცავად, მათ საკეთილდღეოდ კეთდება.

ასეთი ადამიანები გარშემო მყოფთა მიმართ საკუთარი აგრესიის განხორციელებას და განსხეულებას ხელისუფლების ქმედებებში ხედავენ და ეს დიდ შინაგან კმაყოფილებას და სიამოვნებს ჰგვრით,

ასე იბმება თანამშრომლობისა და პარტნიორობის უხილავი ძაფები ხელისუფლებასა და ხალხს შორის, უფრო ზუსტად, ხალხის ერთ ნაწილს შორის, რომელსაც ჰგონია, რომ ხელისუფლება მის შეკვეთას ასრულებს, მის მაგივრად მოქმედებს, მის მაგივრად სჯის და ასამართლებს.

„ნაცმოძრაობის“ ხუთასი ათასი მხარდამჭერი (თუ ამდენია) ეს არის ხუთასი ათასი სააკაშვილი, რეალიზებული და გაერთიანებული ერთ პერსონაში — მიხეილ სააკაშვილში.



ისინი სააკაშვილში საკუთარ თავს ხედავენ და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ სააკაშვილს კი არა, საკუთარ თავსაც უჭერენ მხარს.

ამიტომაც არის ფანატიზმამდე მისული მიშიზმი, როგორც ყველა „იზმი“, სახიფათო და დამანგრეველი საზოგადოებისთვის.

უშედეგო და უნაყოფოა მათი „რჯულზე მოქცევის“, მათი გამოფხიზლების, გადაკეთების თუ გადარწმუნების ყოველგვარი მცდელობა.

მათ არაფერი არ ესმით, იმიტომ კი არა, რომ ბრმები არიან, არამედ იმიტომ, რომ არ სურთ დაინახონ, არ სურთ გაიაზრონ, არ სურთ აღიარონ, რა შემზარავი სისტემური დანაშაულის თანამონაწილენი არიან.

მათ მძიმე მდგომარეობიდან იოლი გამოსავალი მოძებნეს: არ უნდა აღიარო დანაშაული, თუნდაც ცხვირწინ ამ დანაშაულის დამამტკიცებელი უტყუარი დოკუმენტების ტომეულები გელაგოს და პირზე ათი მოწმე დაგადგეს.

**მეგის ქარდავა რომ მეგის ქარდავაა, ისიც კი არ გრძნობს თავს დამნაშავედ და ომახიანად აცხადებს — მე ქართულ სახელმწიფოს ვემსახურებოდიო.**

ასევე ქართულ სახელმწიფოს „ემსახურებოდნენ“ თურმე სხვა მწამებლები, ჯალათები, კაცების გამაუპატიურებლები, ხაზინის ქურდები, რეკეტიორები, გამომძალველები, სახელმწიფო სტრუქტურებში „მოღვაწე“ სხვადასხვა ჯურის კრიმინალები, რომ არაფერი ვთქვათ ისეთი მაღალი დონის პოლიტიკურ მოღვაწეზე, რომელმაც საპატრონოდ და მოსავლელად ჩაბარებული საქართველო 20 პროცენტით დაპატარავებული და დამოკლებული დაგვიბრუნა უკან.

— კარგია, გორის სამხედრო ჰოსპიტალში რომ გადაიყვანეს სამკურნალოდ მთავარსარდალი, რა თქმა უნდა, სამხედროებთან უნდა იყოს! — ამბობენ ნაციონალები.

რა მთავარსარდალი, რისი მთავარსარდალი, **ეგ რომ თვითმფრინავის ხმაზე დამფრთხალი და ჩასვრილი მიწას დაასკდა, მისი სხეულის ანაბეჭდი დინოზავრის ნაკვალევივით ახლაც ამჩნევია გორის მიწას.**

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებისთვის არც ამას აქვს მნიშვნელობა — მათთვის მიშა მაინც მამაცი, გულადი, უშიშარი გმირია და მარად ასეთი დარჩება, თუნდაც რამდენიმე ჰალსტუხი ერთად შეჭამოს და ზედ ლიზა იასკოს ბიუსჰალტერი დააყოლოს დესერტად.

●

— თუ ჩვენ დამნაშავეები ვიყავით, რატომ არ დაგვსაჯეთ? — ნიშნის მოგებით ეკითხებიან ნაციონალები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას.

**ისინი ქვეცნობიერად იმას ითხოვენ „ქართული ოცნებისგან“, რომ ღარიბაშვილი გასააკაშვილდეს, გომელაური გამერაბიშვილდეს, ლილუაშვილი სოსო თოფურიძედ იქცეს, კობახიძე ბოკერიად მოგვევლინოს, „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ დაემსგავსოს და ისე მოექცეს მათ, როგორც თავად ექცეოდნენ საკუთარ ოპონენტებს, ხოლო, როცა ამას „ქართული ოცნება“ არ აკეთებს, ამას სისუსტედ და უნიათობად უთვლიან.**

არადა, არც უნიათობაა ეს და არც სისუსტე, ეს არის ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი განსხვავება ორ პოლიტიკურ ძალას შორის.

უფრო ზუსტად და უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ეს არის დაპირისპირება მმართველობის ბოლშევიკურ-ფაშისტურ სტილსა და დემოკრატიულ ღირებულებებს შორის.

**„ქართულმა ოცნებამ“ იცის: ის მაშინვე დამთავრდება, როგორც კი იმის კეთებას დაიწყებს, რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა.**

ბოროტება იმარჯვებს მაშინ, როცა გაიძულებს, მისნაირი გახდე და მას დაემსგავსო.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ზოგჯერ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებსაც ავიწყდებათ, როცა ხელისუფლებას მოუწოდებენ, გადადგან მკვეთრი ნაბიჯები, მიიღონ ხისტი და მკაცრი გადაწყვეტილებები.

**სააკაშვილს ვებრძვით და იქვე სააკაშვილი გვინდა, ოღონდ „ქართული ოცნების“ სააკაშვილი?**

●

უტიფრობის, სიცრუის, სიყალბის, უთავმოყვარეობის, უსირცხვილობის, უსინდისობის, თვალთმაქცობის, ფარისევლობის ორმოცდაათდღიანი კოშმარული ციკლი, როგორც იქნა, დამთავრდა — სააკაშვილი გორის ჰოსპიტალში გადააპორტირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიშა მაღალკვალიფიციური ექიმების ხელშია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მიშამ უნდა იცოცხლოს, მაგრამ მიშიზმი აუცილებლად უნდა დამთავრდეს.

სხვანაირად საქართველოს განვითარების პერსპექტივა არ აქვს, მომავალი არ აქვს.

მიშიზმი შეიძლება ქართული სახელმწიფოს დაშლის მიზეზი გახდეს.

აი, ეს უნდა შეიგნოს და დაიმახსოვროს ყველამ, ვინც მიშიზმს ემსახურება.

„ნაცმოძრაობის“ რიგით მხარდამჭერებთან პრეტენზია არ მაქვს — ვიცი, მათ ვერაფერს შევაგნებინებ და ვერაფერს გავაგებინებ, მაგრამ იმ ადამიანებს — პოლიტიკოსებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, რომლებმაც შესანიშნავად იციან, რა უბედურება, რა კატასტროფაა მიშიზმი და მაინც მიშიზმის გადარჩენასა და შენარჩუნებას ცდილობენ თავიანთი ეგოისტური ინტერესების გამო, ქვეყნის ღალატში ვდებ ბრალს.

როგორც დიდმა მაესტრომ რობერტ სტურუამ ბრძანა, ამ ადამიანებს ხელი არ უნდა ჩამოვართვათ, არ უნდა მივესალმოთ, მათი წიგნები არ წავიკითხოთ, მათ მიერ შესრულებულ მუსიკას არ უნდა მოვუსმინოთ, მათი ნახატი სახლში არ უნდა შევიტანოთ, რადგან სწორედ ისინი აცოცხლებენ და ასულდგმულებენ მიშიზმს, — მოურჩენელ ჭირსა და სახადს.

**მიშამ იცოცხლოს, მაგრამ მიშიზმი უნდა მოკვდეს!**



# აფრაკი ბულაძეები ტაიფუნ სააკაშვილის ფონზე

რაც მამაა, ის შვილია. შვილი ხომ აფრენს, მამა უარესად უბერავს. 14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე „ნაცებმა“ აქცია რომ გამართეს, ე.წ. მხატვარმა გია ბულაძემ ბიძინა ივანიშვილს ასე მიმართა: „ჯოჯოხეთის კარი ძალიან ფართედ არის შენთვის ღია, ეგ და მთელი ქოცისტანი წაიყვანე, გაუბერე ჯოჯოხეთისკენ, თქვენი ადგილი აქ არ არი“!.. შემდეგ კვლავ განაგრძო უნიჭო გამოხტომები, მაგრამ ეს იყო კულმინაცია და მინიშნება კიდევ ერთხელ იმაზე, რომ ეს ადამიანი ვერ არი თავის მატორზე. მეტიც, ეს უცნაური წარმონაქმნი ძალიან ავადაა, დასაბმელია, ზოლიანი ხალათი უნდა ეცვას. გია ბულაძის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე სხვა „ნაციონალების“ შემთხვევაში, მას შვილი ჰყავს იმნაირი, უფრო სწორად, თავისნაირი, თავისზე უარესი – თავდაჯერებულ იდიოტს რომ ეძახიან, ისეთი. ამას წინებზე წერილი დაუწერია, სადაც



თავისებურად წუხს ამ ქვეყნის მომავალზე და განიცდის, რომ ადამიანები არ გამოდიან აქციებზე:

„გუშინ ჩვეული გზით მივდიოდი მიტინგზე, პარლამენტის შენობისკენ, მოვალეობის განცდით და იმ რწმენით, რომ აქციაზე მისვლა აუცილებელია. ქუჩისთვის, მოგეხსენებათ, ბუნებრივი მოვლენაა, როცა შენ ერთი მიმართულებით მიდიხარ და სხვა კი საპირისპირო მიმართულებით მოდის, როგორც ეს ამ შემთხვევაში იყო. მაგრამ უეცრად დავფიქრდი – რატომ არის ეს ბუნებრივი მოვლენა, რომ მე თავისუფლების მოედნის მიმართულებით მივდივარ და შემხვედრები კი – პირიქით? რატომ არ მიდის ეს ხალხი იქით, საითაც მე (და ჩემნაირები) მიდიან? ამ შეკითხვას მეტაფორულად არ ვსვამ, გულწრფელად მიკვირს: თუკი მე (და ჩემნაირი) მიდის პარლამენტის შენობისკენ, ეს ხალხი რაღატომ მოდის იქიდან აქეთ – ისე, ვითომც არაფერი ხდებოდეს“?!

ისე, რაღა დაგიმალოთ და... მართლაც საინტერესოა, როცა პატარა ბულაძე მიდის იქით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა რატომ მოდის აქეთ? არა, ამ შეკითხვას ლაშა ნამდვილად არ სვამს მეტაფორულად, გულწრფელად უკვირს, თუკი ის და მისნაირები მიდიან პარლამენტის შენობისკენ, ხალხი რატომღა მოდის იქიდან აქეთ, ანუ კავშირგაბმულობის შენობისკენ?

ეხლა ეს ტიპი რომ თავის მატორზე იყოს, ხომ მიხვდებოდა, რასთან გვაქვს საქმე? მწერალი ვარო, იძახის (მწერალი არა, ჩემი ფეხები!), თამარ მეფეზე რომანებსა „სწერამს“ და ამ დროს გრავიტაციული ურთიერთქმედების შესახებ არაფერი გაუგონია. ეს კანონი ისააკ ნიუტონმა მაშინ აღმოაჩინა, როცა ვაშლი დაეცა თავში და უნებლიედ წამოიძახა: რაც მოგივა დავითა, ყველა შენი თავითაო. მამა-შვილი ბულაძეები აზრზე არ არიან, რომ მიზიდულობის კანონის გარდა არსებობს განზიდულობის კანონიც. ცხოვრებაში არსებობს ორი სახის მუხტი, დადებითი და უარყოფითი, ანუ მიზიდული და განზიდული. წესით, ადამიანი არ უნდა იყოს სირი, ანუ უარყოფითი მუხტის მატარებელი, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი მაინც არის სირი. აი, სწორედ ასეთებს უკვირთ, როცა თვითონ მიდიან იქით, სხვები რატომ მოდიან აქეთ? დიახ, ასეთები ძალიან განიცდიან, როცა თვითონ ნათელი მომავლისთვის იბრძვიან, სხვები კი სახლებში დივან-კრესლოებზე წამოტრაკულან და დროს სისულელეებში ხარჯავენ. ესენი რისთვისაც იბრძვიან და რა ნაგავიც უტრიალებთ თავებში, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ამავე დროს იმდენად თავხედები არიან, რომ საზოგადოებასაც ამუნათებენ, როგორ, ჩვენ რომ იქით მივდივართ, აქციებზე ვიყინებით, ქვეყნის აღმშენებლობისთვის ვიბრძვით, თქვენ აქეთ რატომ მოდიხართ, საპირისპირო მხრიდან რატომ გვხვდებით, ოჯახებს რატომ უნდუნდებითო? უკაცრავად, მაგრამ მე რა, ჩემი პირადი საქმისთვის მივდივარ ამ აქციაზეო? – ამბობს განაწყენებული ბულაძე და დასძენს:



„საქმე მეც მაქვს (და ბევრ ჩემნაირსაც), საღამოს მეც (და ბევრ ჩემნაირსაც) შინ უნდა ჯდომა, პროფესიაც მაქვს (ისევე, როგორც ბევრ ჩემნაირს) და, ბევრის მსგავსად, არც თვითრეალიზების სივრცეების ნაკლებობას ვუჩივი... ისევე როგორც ბევრ ჩემნაირ მოქალაქეს, არც პოლიტიკურ-კარიერული ამბიცია მიჩენს დამატებით მოტივაციას და არც პარტიული ვალდებულება მაქვს, რომ პროტესტს მოვალეობის გამო გამოვხატავდე.

თქვენ რატომ მოდიხართ საპირისპირო მიმართულებით, როცა მე აქციაზე მივდივარ? რატომ გგონიათ, რომ მე ეს მეხება და თქვენ – არა? რატომ გგონიათ, რომ ჩემი და ჩემნაირების პროტესტის ხარჯზე მოიპოვებთ მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების უფლებას“?

ჰო, უპასუხეთ „უმფროსსა“, თქვენ რატომ მოდიხართ საპირისპირო მიმართულებით, როცა ის აქციაზე მიდის? რატომ გგონიათ, რომ მისნაირების ხარჯზე მოიპოვებთ მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების უფლებას?

აი, ხედავთ, როგორები არიან ბოლშევიკების შთამომავლები? ისინი თქვენს ნაცვლად ერთ ნაბიჯსაც არ გადაადგამენ, თქვენთვის ერთ ხესაც არ დარგავენ, ერთ აგურს არ დადებენ, სამაგიეროდ პრეტენზიები აქვთ დიდი, საითაც ეგენი მიდიან, საითაც ეგენი მიბოდიალობენ, ყველანი იქით უნდა წავიდეთ, საპირისპირო მხარეს არ შეიძლება. ზვიად გამსახურდიამ გაბედა და ეგრევე წამოაძახეს, შენ დინების საწინააღმდეგოდ მიდიხარო. ესეც, ეს პატარა ბოლშევიკიც მაგას ქადაგებს, როგორ ბედავთ, ჩვენს საპირისპიროდ რომ მოდიხართო? თითქოს უწყინარი პროტესტია, თითქოს მხოლოდ უკვირს, გაოცებულია, სინამდვილეში ის სკდება ბოღმით, კიდევ კარგი, წინა საუკუნის 30-იანი წლები არ არის, თორემ დაგვხვრეტდა, გადაგვასახლებდა, ჯოჯოხეთში გაგვისტუმრებდა. აკი მიმართა მამამისმა ბიძინა ივანიშვილს, წადი ჯოჯოხეთში და შენი მომხრეებიც წაიყოლეო, თქვენი ადგილი აქ არ არიო. გია ბულაძისა და მისი შვილის ადგილი არის, ბიძინა ივანიშვილისა – არა. კი, მაგრამ მან ხომ ამ ქვეყანაში ბევრი რამ ააშენა, ბევრი ხე დარგო, ბევრი ადამიანი გადაარჩინა? ბულაძეებმა რა გააკეთეს, ვინმე მეტყვის? ვერავინ ვერაფერს მეტყვის, ისინი ჰარი-ჰარალოზე ცხოვრობენ, სახელმწიფო ვალდებულია, ხელის გულზე ატაროს, წიგნები დაუბეჭდოს, უთარგმნოს, საზღვარგარეთ გაუგზავნოს, არავის სჭირდება, მაგრამ მაინც გაუყიდოს, გაუსაღოს. უნდა ახატინოს, სამხატვრო აკადემია ჩააბაროს, მომავალი თაობები გააზრდევინოს (ვაი, მის გაზრდილებს!).

ნახეთ, როგორ თაღლითობს მცირე ბულაძე, როგორ ცდილობს, საზოგადოების თავზე იშლიგინოს და იქით დაამუნათოს კიდევაც, საქმე მეც მაქვს, საღამოს შინ მეც მინდა ჯდომა, პროფესიაც მაქვს, თვითრეალიზებულიც ვარ, არც პარტიული ვალდებულებები მაქვს, მაგრამ როცა მამული განსაცდელშია, მიტინგებზე დავდივარო. ნახეთ, პარტიული ვალდებულებები არ მაქვსო... ამას ჰგონია, ვინმე დაუჯერებს, პარტიული ვალდებულება მხოლოდ ის არ არის, პარტიის წევრი რომ ხარ, კულტურის სამინისტროდან დიდი ფულებით რომ ფინანსდები და ამ დროს შენი მაკულატურის ფასი „კაპეიკიც“ არ არი, ეგეც ვალდებულებაა. ჰმ... საქმე მეც მაქვს, საღამოს სახლში ჯდომა მეც მინდაო. გინდა და დაგიშალა ვინმემ? დაჯექი უნიტაზზე (როგორც გჩვევია) მორჭმით და იკითხე ტორესა მოსის რომანები. მაგას რომ მორჩები, ერეკლე დეისაძის რომანი წაიკითხე დედის დუნდულების თაობაზე. შემდეგ მამიშენის ნახატები გადაათვალიერე, თუ რამე გაუგო, არავის გაუყო. თუმცა შინ რა გაგაჩერებს, როცა სააკაშვილის მობრუნებას ელოდებით მამა-შვილი, მისი „გაუმფროსება“ გწყურიათ, რომ ისევ მოასხდეთ ბიუჯეტს ელიტარული ხელოვანების რანგში. არ გამოგივათ მაი ამბავი, ხელიდან წასულო მეშჩანებო, ჩაიარა ავადმყოფების მატარებელმა. თქვენც, წესით, იმ მატარებელს უნდა გაჰყოლოდით, მაგრამ რატომღაც აქ დარჩით. წარსულ დროს ვეღარ დააბრუნებთ... აი, სწორედ ამიტომაა, რომ გიკვირთ, ჩვენ რომ იქით მივდივართ, ხალხი აქეთ რატომ მოდისო? ხალხი აქეთ იმიტომ მოდის, რომ (უკაცრავად) გამოყ... ევებულებს აღარ მიჰყვება – ერთხელ შეეშალა, ორჯერ შეეშალა, სამჯერ შეეშალა, აღარა კმარა? დიახ, კმარა!

ძვირფასო მეგობრებო, ამათ, ამ ბულაძეებს ჰგონიათ, ადამიანები იმიტომ არ მიჰყვებიან აქციებზე, რომ ეზარებათ და იმედი აქვთ, ხვალ გამზადებულ სუფრას მიუსხდებიან. განა მე კი არ მინდა, საღამოს სახლში ყოფნაო? ძალიანაც მინდა, მაგრამ ჯერ სამშობლო უნდა გამოვიხსნა ოლიგარქისგანო, მისი ადგილი აქ არ არისო. რატომ არ არის, შე ჩემა? იმ კაცმა იმდენი გაუკეთა ქვეყანას, შენს მთელ სანათესაოს არც კი დაესიზმრება. წარმოგიდგენიათ? შენი ადგილი აქ არ არისო, ღნავის გრძელი ბულაძე და ყველას ჯოჯოხეთისკენ მიგვითითებს. მოკლე ბულაძეს პრეტენზიები აქვს, თუ გგონიათ, ჩემს მიერ მოპოვებულს მიუსხდებით, ძალიან ცდებითო. ამ წუწურაქს ჯერ არაფერი მოუპოვებია, არავის უყოფს, მართლა რამე რომ მოიპოვოს, მერე რას იზამს?




14 ოქტომბერს გრძელმა ბულაძემ კიდევ ერთი „შედევრი“ დადო – მიხეილ სააკაშვილი ქარიშხალი და ტაიფუნიაო. გამოხდა ხანი, გავიდა დრო, სულ რაღაც 50 დღე და კაცი ლამის ტრაწად დაიცალა. ოფიციალურად ისიც კი გამოაცხადეს, ადეკვატურად ვეღარ შარდავს, ანუ უკვე იფსამსო. იცით, მიხეილი როგორი ტაიფუნია? ზუსტად ისეთივე, როგორი მწერალიც მოკლე ბულაძეა და როგორი მხატვარიც გრძელი ბულაძეა!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61





# რაღაცნაირები

ისინი რაღაცნაირები არიან, რაღაცნაირად აზროვნებენ, რაღაცნაირად ხედავენ ყველაფერს, რაღაცნაირად წარმოაჩენენ რეალობას. რაღაცნაირად იქცევიან – გიჟმაჟურად, არაადეკვატურად... გეგონება, ეს ესაა, გადმოსხდნენ რომელიმე პლანეტიდან და არ იციან, სად იმყოფებიან, რატომ იმყოფებიან და რა უნდათ. ბელადიც რაღაცნაირი ჰყავთ, ადრე ჩვენთან პრეზიდენტად მუშაობდა, იღორა, ჭამა, ჩასკდა, იფუქსავატა, გაძარცვა, გაატყავა, დახოცა, გააუპატიურა, გადატ...ნა, მერე ეს გადატ...ნულები თავის მონებს შერთო. მონები დიდად კმაყოფილნი რჩებოდნენ იმის ნახმარი ცოლების შერთვით... მართალია, ზოგს ძუძუ ჰქონდა მოჭმული, ზოგს დუნდული ამოსაკერი, ზოგს ჩანა-ყბა გასასწორებელი, მაგრამ ნაჩუქარ ცხ-



ენს კბილებს როდის უსინჯავენ? არც ამათ გაუსინჯავთ, გაუსინჯავდნენ და კაი ჩიტსაც დაიჭერდნენ.

ერთხელაც ბელადს უთხრეს, გეყოფაო. კი იუკადრისა, კი შეიცხადა, ყაბულსაც არ იყო, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გააბუნძულეს. წავიდა, სხვა პლანეტაზე გადასახლდა და ახლა იქიდან დაიწყო მონების მწყემსვა. ვინაიდან ესენი რაღაცნაირები არიან, თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე არ დაიშალნენ, დღემდე მღერიან – რა დროშა მოგვცა მიშამა-ო. ცხრა წელიწადი იწანწალა რაღაცნაირმა ბელადმა, ცხრა წელიწადი იცხოვრა რაღაცნაირად. ბოლოს მოსწყინდა, მისმა მონებმა ვერ დააყენეს „პალაჟენია“ იმნაირად, თავისუფლად ჩამოსულიყო საქართველოში და გაეშალა ხელები – „შალახოს“ ცეკვისას რომ იციან ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ 6 წელიწადი დაუსწრებლად მიუსაჯეს, მაინც შემოიპარა, თანაც რაღაცნაირად, არაჟნით დატვირთულ ტრაილერს შემოჰყვა. წარმოგიდგენიათ? მაცივარში იჯდა, საზღვარზე მოიპარებოდა და სცენარებსაც ამუშავებდა – ვითომ გაიტაცეს, ვითომ ესროლეს, ვითომ დაჭრეს, ვითომ თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა და ასე შემდეგ. ყველა სცენარი ჩაუფლავდა, დაიჭირეს, პანჩური არ ჰკრეს, საქართველოში უკვე ჰუმანურ სიტუაციას დაესადგურებინა, ისე შეაგდეს კეთილმოწყობილ საკანში. ესეც იუკადრისა – ვისაა, რომ უბედავთ და რასაა, რომ უბედავთო? ახლავე გამიშვით, გამათავისუფლეთ, ძალაუფლებაც გადმომაბარეთ, თუ ეგრე არ მოიქცევით, ყველას დაგიმახსოვრებთო, მერე ნახავთ, კიდევ ერთხელ დიდი კაცი რომ გავხდებიო. თუ სასწრაფოდ „უმფროსად“ არ დამნიშნავთ, შიმშილობას გამოვაცხადებ, ლუკმასაც არ ჩავიდებ პირში, მოვკვდები, სირცხვილი და თავის მოჭრა თქვენაო. შიმშილიც რაღაცნაირი იციან, არ ეტყობათ, მხოლოდ თმა აეჩეჩებათ ხოლმე (რა თქმა უნდა, ვისაც აქვს). ბელადმაც, ბუნებრივია, რაღაცნაირად დაიწყო უჭმელობა, მიდი-მოდის შეზღუდვისთანავე ფაფებს მიაძლა, წვენებს, ვიტამინებს და ხინკლის ფხვნილებსაც. როცა ვიდეო გამოუფინეს, ფლოსტები უკუღმა ყარა, ეს არ ითვლებაო. გარედან შეუძახეს, ითვლება კი არა, მეტიც არი, ღორი ხარ, საზოგადოებას ატყუებო, დაგვემუქრა, იცოდეთ, ამასაც აღარ შევჭამ, თუ რამე „დემემართა“, პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათო, ხელისუფლებასო, ბიძინა ივანიშვილსო.

ახლა მოგიყვებით იმაზე, თუ როგორ ცდილობენ რაღაცნაირი ბელადის დახსნას ციხიდან მისივე რაღაცნაირი მონები... მათ შეიმუშავეს რაღაცნაირი სტრატეგია – „სიარულ-



ში ბევრნი ვჩანვართ“! მოქმედების არეალად მეტროს სადგურები ამოიჩემეს, იკრიბებიან ყოველდღე ასნი, ორასნი, სამასნი, გადიან მტკვრის სანაპიროებზე, შედიან ვიწრო ქუჩებში, ორღობეებში და უხარიათ, ბევრნი ვართო. გარდა ამისა, აქვთ რაღაცნაირი გამოსვლები ტელევიზორში, სულ გვემუქრებიან, თავ-ყბას დაგინგრევთ, ძვლებში დაგლეწავთ, ეს რა დღეში ჩაგვყარეთო? მეტიც, ყველას გიმახსოვრებთ, მერე არ დაიწყოთ, მე არა და ჩვენ არაო. განა მართლა რამის ტრაკი აქვთ? არა, გვემუქრებიან იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობენ რაღაცნაირი გაურკვევლები, ცოტა წაიმნაიროები, მოდებილოები... აი, ეგეთებს აშინებენ, ყველას გიმახსოვრებთ, მოვალთ და ყოფას გიტირებთო. რის დამმახსოვრებლები ესენი არიან? არ დაიჯეროთ, ამათ ორკუპლეტიანი ლექსის დამახსოვრებაც უჭირთ, მხოლოდ ეს იციან: „მიშა მაგარია“ და „რა დროშა მოგვცა მიშამა“. სხვათა შორის, მრავალფეროვან კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით „მშვენიალური“ განმარტება გააკეთა ბონდო მძინარაშვილმა:

– საავადმყოფოში რატომ უნდა გადავიყვანოთო?

– იმიტომ, რომ შიმშილობსო!

– რატომ შიმშილობსო?

– იმიტომ, რომ საავადმყოფოში გადაიყვანოთო!

ხედავთ, როგორი რაღაცნაირი მოთხოვნები აქვთ „ნაციონალებს“? თან ასეა, თან ისე, თითქოს ჩაგვირისტებულია, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, სრული კრეტინობა გამოდის.

ბელადს აყოლილი რაღაცნაირი



მონები პროტესტსაც რაღაცნაირად გამოხატავენ... მაგალითად, ლექს-სენი, რომელსაც რატომღაც მომღერლად მოიხსენიებენ, აცხადებს:

„მიშას მოკლავენ?! მე გავხდები მიშა!.. მაინც წავლეკავთ! ტყუილად აქვთ იმედი, რომ დამთავრდება თავისუფლება!“

ხედავთ, როგორი პათოსია? ზუსტად ისეთი, პავლიკა მოროზოვს რომ ჰქონდა: „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას“! ლექსენა იძახის, მე გავხდები მიშა და ამის შემდეგ მაინც წავლეკავთ ყველაფერსო. ჯერ ეს რა არი, ახლა მიშად რომ გადაკეთდება, რაღა იქნება?!

აქციების ჩატარებაც რაღაცნაირად იციან, მეტროს სადგურებთან იკრიბებიან, მერე დაღმართზე ეშვებიან და მთელი დღე დადიან აეგრე, უმისამართოდ. ამაზე იტყვიან ხოლმე კახეთში, ცარიელი თავი ფეხებს არ ასვენებსო. აგერ, ამას წინებზე რომ გამოვიდნენ, თბილისში ორივე სანაპირო უნდა გადავკეტოთო, სატრანსპორტო კოლაფსი უნდა მოვაწყოთო, კი სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, ვერ გადაკეტეს, ვერ მოაწყეს კოლაფსი. გიგი უგულავამ ეს პროცესი ასე შეაფასა: „ჩვენ დავინახეთ მთავარი, ხალხი აპიპინებda“. აჰა, ხალხი აპიპინებდა, განა ხალხი მანქანებითო? არა, ვინც ამათ ხმას აძლევს, კი აპიპინებს, ადრეც აპიპინებდა, მაგრამ რატომ ჰგონია უგულავას, რომ ვინც ქუჩაში მანქანას აპიპინებს, ყველა ამათი მომხრეა? აი, ამიტომაც არიან რაღაცნაირები. სხვათა შორის, ასეთი „სტრატეგია“ აქვთ – არჩევნების დროს ქუჩაში გავლენ თუ ბაზარში შევლენ, ყველას ხელს ართმევენ და ვისაც ხელს ართმევენ, ყველას თავიანთ მომხრეებად ასაღებენ.

ეხლა ამათ, რომელიღაცა პლანეტიდან რომ არიან ჩამოსულები, გადაწყვიტეს, წალენჯიხა ცალკე რესპუბლიკად გამოაცხადონ. მგონი გამოაცხადეს უკვე. უახლოეს ხანში სტამბულიდან მჩხიბავი ჩამოჰყავთ, ამ მუნიციპალიტეტს ჯადო უნდა გაუკეთონ. თემურ კოკაკოლიანმა (ჭყონიამ) თქვა, მეო, აქაო, სტადიონი უნდა ავაშანოო. ხაზარაძემ – პორტიო. იმან, დიდმა ბანმა, პაატა ბურჭულაძემ – მე „ღვინოვ, კახურო“-ს ვიმღერებო. ეხლა მსჯელობენ გერბზე, დროშასა და ფულის ერთეულზე. მიხეილ სააკაშვილმა მოიწერა, მხარს ვუჭერ მრავალფეროვნებას და მულტიფუნქციურობას, ჰაერში გამარჯვების სუნი ტრიალებს, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათო.

### რაღაცნაირი გადახვევა

იცით, რა მაინტერესებს?

აი, ესენი დილით რომ ადგებიან ხოლმე და კართან მიდიან, ოჯახის წევრები რატომ არ ეკითხებიან, ეხლა საით გაგიწევიათ, რომელ მეტროსთან უნდა შეაწუხოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაო?!

როცა კარის ზღურბლთან იწყებენ, დავით აღმაშენებლები ვართ, ცოტნეები ვართ, ნაპოლეონები ვართ, ევროპიელები ვართ, ზეზვები ვართ, მზიები ვართო, რატომ არ შეიტყუებენ რომელიმე ოთახში და არ გათოკავენ?!

ხალხო, ღმერთი არა გწამთ? თქვენი ნათესავები არიან, მტრები ხომ არა?

სანამ გარეთ გამოვლენ, შეაჩერეთ, გამოჰკითხეთ (თუმცა გამოკითხვაც აღარ არის საჭირო), თუ ვერ გათოკავთ, სარკეში მაინც ჩაახედეთ, მიუთითეთ, რამე ურჩიეთ, შთააგონეთ, ჭკუაზე დაარიგეთ. კი, ვიცი, უცნაურად მოგაჩერდებიან და შეიძლება იქითაც შემოგიტიონ, მაგრამ მაინც სცადეთ, ეგრე ვარაუდზე ნუ უშვებთ გარეთ.

### რაღაცნაირი დასკვნა

მიილივნენ, მიცოტავდნენ, გაცვდნენ, სახეები წაეშალათ, აქ აღარ არიან, მიედ-მოედებიან, ბოდიალობენ, მაგრამ მაინც იჭინთებიან – თვითონაც წვალობენ და თავიანთ მომხრეებსაც აწვალებენ!

ხვალ, ზეგ, მაზზეგ ოციოდენი, ათიოდენი, ხუთიოდენი დარჩებიან და ახალი წელიც მოგვადგება.

ჩვენ ნაძვისხეს დავდგამთ და ესენი გააპროტესტებენ, რა დროს ახალი წელია, როცა მესამე პრეზიდენტი ციხეშიაო? თუ მანამდე იშიმშილებს (რატომაც არა?), გაიჭაჭებიან, ბელადს გვიკლავენ, ნაძვისხეს არ დაგადგმევინებთო!

მიუხედავად ამისა... ესენი მაინც მიუსხდებიან ჩაზნექილ სუფრებს და თავებსაც დიდი სიამოვნებით ჩაჰყოფენ საცივის მათლაფებში. სამი კვირის შემდეგ გვარამია დატუქსავს, რა გამოშტერებულები იყურებით, თავები ისევ საცივში გაქვთ ჩაყოფილიო?!

ამ წლის დასაწყისში ეგრე იყო, მოაქუჩა თავის უბორნიაში და ლამის მათრახი ურტყა ყველას, რანაირად მოეშვით, ეგრე სად გაგონილაო? მხოლოდ ბურჯანაძემ უპასუხა, საცივში არ მაქვს ჩაყოფილი თავიო, თან ცალყბად გაეღიმა. სხვები დუმდნენ, თავები ჩაჰქინდრეს.

ჰოდა, ეხლაც ეგრე იქნება... ნახავთ!

ზაალა (ზორო) მაინც იხევა, არ დავთმობთო... რა ჩემი ფეხები აქვს დასათმობი? ჩვენ მაინც ბევრნი ვიქნებითო, ავზვირთდებით და ნაპირებიდან გადმოვალთო, ამ ხელისუფლებას წავლეკავთო. ამ დროს არაქათი აღარ აქვთ, მიწოლითაც ველარ იქოქებიან.

ალბათ, ერთხელაც იქნება, ისევ დაბრუნდებიან თავიანთ პლანეტაზე, მოვლენ მაგათი გადმომსხმელები და წაიყვანენ, სხვა გზა არ აქვთ, ვერ შეეგუენ აქაურობას, ვერ გაიხარეს, ვერ გაიდგეს ფესვები.

არ ვიცი, იმ რაღაცნაირ პლანეტაზე რომ დაბრუნდებიან, როგორ იქნებიან, ალბათ მავნებლობას არც იქ მოიშლიან, მაგრამ არაუშავს, მოსტ... ვნიათ პატრონი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61









# „კონსერვატიული მოძრაობა“ არის პარტია, რომელიც ნაციონალებს საერთოდ გააქრობს პოლიტიკური ველიდან

გთავაზობთ ფრაგმენტაებს ახლადდაარსებული პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის კოკა მორგოშიას („ალტ-ინფო“) სატელევიზიო ინტერვიუდან:

— რაც პარტია დაარსდა, ატყდა ყაყანი, სახალხო დამცველმა და ვიღაც-ვიღაცებმა, არიქა, პარტია უნდა ავკრძალოთო. გასაგებია, რაც არ მოეწონათ. როცა 45-წუთიანი შეკრების შემდეგ მთელი სალიბერასტეთი გიპირისპირდება და თავიანთი გორის ჰოსპიტალში გადაიყვანილი გასაბერი პრეზიდენტი ავიწყდებათ, როცა არავის ახსოვს არც მიშა და არც გრიშა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სწორი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს ადამიანები ჩვენი ქმედებებით კმაყოფილები იყვნენ. ეს ნიშნავს, რომ ვართ ეფექტური და ანგარიშგასაწევი.

„კონსერვატიული მოძრაობა“ არის პარტია, რომელიც ნაციონალებს გახარიას მსგავსად კი არ დაასრულებს, არამედ საერთოდ გააქრობს.

ეს იქნება პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყანაში დაამყარებს იმისთანა წესრიგს, სადაც „ნაცმოძრაობის“ აქციაც კი ვერ ჩატარდება — ვერც მრავალრიცხოვანი და ვერც — მცირერიცხოვანი.

ვაიოპოზიციის ლიდერებს, რომლებსაც თავის დროზე გაყიდული აქვთ კოდორი, სამაჩაბლოს ტერიტორიები, დახოცილი ჰყავთ ახალგაზრდა ადამიანები. ციხეებში გამომწყვდეული ჰყავდათ ათასობით უდანაშაულო თავიანთი ოჯახითურთ, მოუწევთ პასუხის გაცემა საზოგადოებისთვის. მოუწევთ ძალიან დიდხანს ციხეში ყოფნა და ეს არ იქნება კოსტიუმებისა და ჰალსტუხების ჭამის თუ ყიდვის გამო. ისინი განისჯებიან იმ მუხლებით, რომელსაც იმსახურებენ.

ჩვენ ნდობა ქართველმა ხალხმა გამოგვიცხადა, ხოლო იუსტიციის სახლი ჩვეულებრივი სტრუქტურაა, რომელსაც არ აქვს უფლება, პარტია არ გაატაროს რეგისტრაციაში.

აგრესიაც ჩვენს ირგვლივ მოდის ლიბერასტური გაერთიანებებისგან. ეს იმის გამო ხდება, რომ თავის დროზე არ ავკრძალეთ „ნაციონალური მოძრაობა“.

გვარამია და მისნაირები აცხადებენ, ესენი არცევნებში 1%-საც ვერ მიიღებენო. ეს 1% 17 000-მდე ამომრჩევლის ხმაა და მათ მინდა ვუთხრა: ჩემს ტელეფონზე ამ დღეებში 15 000 წერილი და ზარია შემოსული მეგობრებისგან და თანამოაზრეებისგან. ასე რომ, ტყუილად იმშვიდებენ თავს.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პარტია შევქმენით, ე.წ. ოპოზიციას ვპირდებით, რომ ყოველი მომდევნო დღე მათთვის იქნება უარესი და უარესი, ჩვენი ქვეყნისთვის კი უკეთესი.

ჩვენ მალე დავიწყებთ პარტიულ მუშაობას, გავხსნით ოფისებს და გპირდებით, ვერავინ ვერ შეძლებს საქართველოში ღმერთის შეურაცხოფას, პატრიარქის შეურაცხყოფას, ქართული ტრადიციების შებღალვას, ქართულ იდენტობაზე ოდნავ გადაკრული სიტყვის თქმას.

ყველაფერზე პასუხს მოგთხოვთ ჩვენ.

თემურ ლენგის შემოსევას გაუძლო საქართველომ 7-ჯერ და თქვენნაირ ვირთხებსაც გაუძლებს. გაუძლებს კი არა, გაანადგურებს.

ორიოდე დღეა გასული, რაც ჩვენი პარტია ოფიციალურად დაფუძნდა და ყველა ვხედავთ, რომ სუყველას დაავიწყდა გისოსებზე ჩამოკიდებული სააკაშვილი.

გაერთიანდნენ ნაცები, „ლელო“, გახარიას ხალხი. კახაბერ ქემოკლიძემ გახარიას პატენტმა ბიჭმა რაღაც განცხადება გააკეთა, კუმ ფეხი გამოყოო, ვინ უსმენს მაგათ, მაგრამ მაინც...

სანამ ლიბერალური „წესრიგი“ იქნება, მუდამ ასეთი აფორიაქება ელოდებათ.

„კონსერვატიული მოძრაობა“ დავაფუძნეთ, პირადად მე არ გახლავართ ჩერჩილის იდეების არც მომხრე და არც პროპაგანდისტი, მაგრამ ჩერჩილს ვეთანხმები ერთ გამონათქვამში: ცუდ მთავრობებს ირჩევენ ის ადამიანები, რომლებიც არჩვნების დღეს სახლში რჩებიან.

ჩვენთან, პრინციპში, სხვა ვითარება იყო. არც ჩანდა პარტია, რომელსაც ხალხი ხმას მისცემდა.

ბოლო 18 წელიწადია, ჩვენ ვუყურებთ ლიბერალური დიქტატურის ყველაზე მძაფრ ფორმას, ქვეყანაში შემოდის მილიონობით დოლარი და ევრო, რაც იხარჯება ტრადიციების, ეროვნულობის, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში...

„კონსერვატიული მოძრაობა“ იქნება ის პარტია, რომელიც ლიბერალურ აქტივებს სასტვენებით კი არ მიაცილებს აქციიდან აქციამდე, არამედ, თუ საჭირო იქნება, ფიზიკურადაც დადგება წინა ხაზზე.

ჩვენ არავის ვაშინებთ. ვაფრთხილებთ: თუ შეეცდებით სახელმწიფო მნიშვნელობის შენობების დაკავებას, არ აქვს მნიშვნელობა, „ოცნების“ იქნება ეს თუ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრუქტურა ან დაწესებულება, ჩვენ დავიცავთ მას, დაგიმტვრევთ ყბებს. იმის მიუხედავად, რომ სრული ნდობა გვაქვს საქართველოს უსაფრთხოების და უშიშროების სამსახურის.

ამაში არაფერია განსაკუთრებული.

თუ ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ეომებოდნენ მტრებს, ჩვენ არ ვაპირებთ დავჯდეთ სახლში და პოპკორნი მოვიმარჯვოთ შაპიტოს ცირკის საყურებლად.



აყაყანდნენ იმაზე, რომ ჩვენ ვთქვით: აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემის გასაღები არის რუსეთში-თქო.

აბა, სად ჰგონიათ, შტუდგარდში თუ პარიზში?

ოკუპანტი თუ რუსეთია, ჩვენ ვის უნდა ველაპარაკოთ?!

30 წელიწადია გვესმის — აბაშიძე-კარასინის ფორმატი, იმის ფორმატი, ამის შეკრება, საბოლოო ჯამში, ხდება ის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი საზღვარი უფრო და უფრო მცირდება.

ის ხალხი, რომლებმაც ყოველივეს პროვოცირება გამოიწვიეს, დღეს გამოდიან და ჭკუას გვასწავლიან. ჩვენ ვართ პარტია, რომელიც სხვა პარტიებისგან განსხვავებით, რომლებსაც ჰქონდათ პრიორიტეტები რუსეთთან დიალოგის, მაგრამ ჩუმ-ჩუმად და სადღაც მაგიდის ქვეშიდან ცდილობდნენ რაღაცის მიღწევას, მაგრამ ჩვენ რუსებს შევხვდებით ღიად. წასვლის წინაც დავაანონსებთ ამას, ადგილზეც ყველა შეხვედრას და საკითხს გავასაჯაროებთ და რომ ჩამოვალთ, პასუხებსაც მოგახსენებთ.

რეგიონში ჩვენი მთავარი მიზანია რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ შესაძლებელია, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რაც შეეხება ჩვენს ევროპელ მეგობრებს, თუ მათი რიტორიკა და მათი ანტიეკლესიური და ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდა შეიცვლება და დავიწყებთ პარტნიორულ ურთიერთობებს. რადგან ვიცით, რომ ევროპა, ეს ძველი კონტინენტი, არ არის მხოლოდ გეი-პარადები, შარლ-მიშელები, არც აშშ-ი არის ვიღაც კელი დეგნანი, რომელიც გეი-პრაიდებზე დროშებით დახტის.

გადახედონ ჩვენს ცხოვრებას და მიხვდებიან, 100 000 მოწამის ქვეყანაში გეი-პარადი ისე ვერ ჩატარდება, როგორც თელ-ავივში ნაცისტური მსვლელობა.

იმ ჟურნალისტებს კი, რომლებიც გვეკითხებიან, ვიღებთ თუ არა პასუხისმგებლობას 5 ივლისზე, ვკითხავთ, არ ბეზრდებათ ერთი და იგივე? მარტო ჩემთვის, ალბათ, 300-ჯერ მაინც აქვთ ეს შეკითხვა დასმული.

არა, ბატონო, არ ვგრძნობთ არანაირ პასუხიმგებლობას, არ ვემიჯნებით არავითარ ქმედებებს, პირიქით, ვთვლით, რომ ის პატიმარი ბიჭები არიან გმირები და იმედს ვიტოვებ, ძალიან მალე იქნებიან ჩვენთან. ისინი იქნებიან ის ძალა, რომლებიც ჩვენთან ერთად დაარჭობენ ლურსმანს ლიბერასტების კუბოზე და ერთად ჩავდებთ მათ ერთ დიდ საძმო აკლდამაში.

უპირველესი ჩვენი მიზანია, ქვეყანაში ლიბერალური დიქტატურის დასასრული, საგარეო კურსს რაც შეეხება: ვაპირებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან დიალოგს ისევე, როგორც რუსეთთან დიალოგს. ჩვენთვის მთავარია ქვეყნის დეოკუპაცია. ეს არის მთავარი მიზანი. ამავე დროს, აუცილებელია, რუსეთის ბაზრის გახსნა და სავიზო მიმოსვლის გაუქმება.

ქართველი ლიბერალები არ აღიარებენ, რომ საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, მილიონი ადამიანი რუსეთის ფედერაციასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ცხოვრობს და, ფაქტობრივად, მათი გამოგზავნილი თანხებით სულდგმულობს საქართველოს ეკონომიკა.

ეკონომიკა თუ ოდნავ მაინც მხარში გაიმართა, საქართველოს მოქალაქეს იმდენი შესაძლებლობა ექნება, რომ 30 და 50 ლარად აქციაზე აღარ წავა...

ყველა ადამიანი თავისუფალი და ღირსეული უნდა იყოს არჩევნებზე თავისი არჩევანის დროს.

ქართველი ლიბერალები მიდიან ღმერთის წინააღმდეგ, ღმერთთან ომს კი ვერავინ მოიგებს. ჩვენ ვართ ღმერთის მხარე და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

მოამზადა
ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



# ვინ შემოაგზავნა „რომანტიკული ქართველი“ ცომაიას ტრაილერით საქართველოს დასაპყრობად





ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მისი კონტრაბანდული დაბრუნება ნაკარნახევი ყოფილიყო საქართველოს ბედზე ზრუნვით, ან სამშობლოს ნოსტალგიით.

სააკაშვილი ლაჩარია, მიჩვეულია ყურადღების ცენტრში ყოფნას, მაგრამ სიმდიდრე და გართობა უფრო მეტად უყვარს, რაც უკრაინაში უხვად ჰქონდა. ამიტომ, თავისი ნებით, ამ კომფორტს არათუ მისი პრეზიდენტობის პერიოდის, არამედ უმაღლესი დონის კომფორტაბელურ ციხეშიც კი არ გაცვლიდა.

*“სააკაშვილმა საქართველოში დაბრუნება 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დაამთხვია”* – სტანდარტული, მაგრამ მცდარი მოსაზრებაა: ბოლო 7 წლის განმავლობაში სააკაშვილმა 17-ჯერ დადო საქართველოში დაბრუნების პირობა, ამ წლების განმავლობაში საქართველოში 7 არჩევნები გაიმართა. თუ არ ჩავთვლით 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომლებამდეც სააკაშვილმა, როგორც საქართველოს დე იურე პრეზიდენტმა, ქვეყანა დატოვა.

*ამჯერად სააკაშვილმა მოახერხა ხელისუფლების ნოკდაუნში ჩაგდება, რაზეც ვერც კი იოცნებებდა ყველა გასული არჩევნების წინ.*

*მილიონობით ამომრჩევლის მოსყიდვის ნაცვლად, მან მოისყიდა არა ვიღაც, არამედ თავად პრემიერ-მინისტრი გახარია, რომელიც თანამდებობიდან წავიდა და თან თავის სახელდახელოდ დარეგისტრირებულ პარტიაში „ქართული ოცნების“ ელექტორატის 10 პროცენტი წაიყვანა,”* – შემედავებიან ოპონენტები და შეცდებიან, რადგან მიშას დაბრუნების რეალური მიზეზი შემდეგია:

**— სააკაშვილს დაევალა ჩაერთო საქართველო მასშტაბურ ანტირუსულ სცენარში შავ ზღვაზე, რათა დასავლეთს, უკრაინის გარდა, კიდევ ერთი მიზეზი ჰქონოდა რუსეთის დასასჯელად, საქართველოს გამო, რომელიც “რუსეთმა ჯერ დაიპყრო”, შემდეგ კი “ევროატლანტიკური გზიდან გადაახვევინა”**, თითქოსდა **„გააყალბა არჩევნები და კლავს მის მესამე პრეზიდენტს ციხეში“**.

საქართველოს უკრაინიზაციის ყველა აუცილებელი წინაპირობა სახეზეა: **კონფლიქტი რუსეთთან, ნატოზე იმედის დამყარება და განხეთქილება საზოგადოებაში**. ეს წინაპირობები შექმნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რაც გათვალისწინებული იქნა ამ უკანასკნელის საქართველოში მოვლინებისას ზემოაღნიშნული ამოცანის შესასრულებლად და უკრაინული ნიმუშის მიხედვით ქართულ საზოგადოებაში პოლარიზაციის გასაზრდელად.

**სააკაშვილის საქართველოში, უფრო ზუსტად, საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნება, წარმოადგენს შავ ზღვაზე ანტირუსული სცენარის ნაწილს, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა სწორედ თვენახევრის წინ, საქართველოში სააკაშვილის მოვლინების პარალელურად.**

ვისაც დაავიწყდა, ან ყურადღება არ მიუქცევია, შევახსენებ ამ სცენარის განვითარების ეტაპებს:

**პირველი** – თავიდან საერთაშორისო საზოგადოებას **„აღსაშფოთებლად“ შესთავაზეს სერიალი – „100 000-იანი რუსული დაჯგუფება კონცენტრირებულია საზღვარზე და ემზადება უკრაინაში შესაჭრელად“**, რის შესახებაც *ერთ-ერთმა პირველმა* განაცხადა უკრაინის პრეზიდენტთან არსებული რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასკომის მდივანმა მიხეილ სააკაშვილმა. ეს იქცა შავ ზღვაში აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ნაწილების რაოდენობის მკვეთრი ზრდისა და რუსეთთან ომისთვის უკრაინის შეიარაღებული ძალების ღიად მომზადების საფუძვლად;

**მეორე** – ზამთრის მოახლოებისთანავე დაიდგა ნახშირწყალბადებთან დაკავშირებული დრამა: **ევროპაში ვერანაირად ვერ გაარკვიეს, რა არის მათთვის უფრო პრიორიტეტული – სულიერი დემოკრატიული ღირებულებები, თუ მატერიალური “ვულგარული” სიობი; ევროპა ვერანაირად ვერ ხსნის, რატომ უნდა გაუთხოს რუსეთმა უკრაინელ ჯარისკაცს გათოშილი ხელები, რათა მან შეძლოს ჩახმახზე თითის გამოკვრა და რუსის მოკვლა.**

**მესამე** — ახლა მათ მოაწყვეს ნამდვილი დრამა ერაყიდან მიგრანტების მიერ ბელარუსი-პოლონეთის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობით, და რატომღაც ამაში დაადანაშაულეს ლუკაშენკო და პუტინი და კრინტიც არ დაუძრავთ ერდოღანზე, თუმცა მიგრანტები ბელარუსში თურქეთიდან ჩაფრინდნენ. ამ უკანასკნელმა კი, თუ არ ვცდები, ევროკავშირისგან 6 მილიარდი ევრო მიიღო, რათა ახლო აღმოსავლეთიდან მიგრანტები ევროპაში არ შეეშვა.

**მეოთხე** — „განუბაჟებელი“ სააკაშვილი თავს **„პუტინის პატიმრად”** აცხადებს, რომელმაც დავალების შესრულებისას კონტრაბანდულად გადაკვეთა უკრაინა-საქართველოს საზღვარი, *28 სექტემბერს, რძის პროდუქტებით დატვირთულ სატვირთო კონტეინერში გემი „ვილნიუსით“, რომელიც ქ. ფოთის პორტში ჩერნომორსკის პორტიდან შევიდა, მის მიერ „რეფერენდუმად“ გამოცხადებულ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, აქაოდა,* **„ან სააკაშვილის ოპოზიცია იმარჯვებს და საქართველო დასავლეთისკენ გაემართება, ან იმარჯვებენ ამჟამინდელი ხელისუფლება — „პუტინის მონები“ და საქართველო უბრუნდება რუსეთს“**.

სანდო უცხოური წყარო იუწყება: *„ნატო საკუთარი ინიციატივით არ დაიწყებს საომარ მოქმედებებს რუსეთის წინააღმდეგ – უკრაინელებმა უნდა დაიწყონ, დასავლეთი კი მათ დაეხმარება. განსაკუთრებით, თუ საქართველო უკრაინას ამოუდგება მხარში. ასევე მოლდოვა, თუმცა ქალის (პრეზიდენტი სანდუ – რედ.) იმედად ყოფნა ძნელია... ამისთვის კი სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს საქართველოში და ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მოხერხდა საქართველოს შეთრევა “ასოცირებულ ტრიოსა” და “ყირიმის პლატფორმაში”, ღარიბაშვილზე იმედების დამყარება არ გამოვა. ის სოლიდარულია უკრაინისადმი მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება უნდა, მაგრამ რუსეთთან ომს არ წამოიწყებს, ომის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიასა და აკვატორიას პლაცდარმად არ გადააქცევს. ქართველ ჯარისკაცებს დონბასში არ გაგზავნის“,* – უთხრეს ზელენსკის. ის იბარებს თავის მთავარ მრჩეველს — რეფორმების საკითხებში ბატონ სააკაშვილს და „აკურთხებს“ მას საქართველოში სპეცდავალებისთვის. სააკაშვილი ინტერნეტით აწყობს თბილისის ავია-ბილეთების დემონსტრირებას, სადაც ეს მშიშარა დედასთან ერთად აპირებს გაფრენას, რათა ქართული პოლიციის მიერ მისი დაკავებისას “უხეშობანი” თავიდან აირიდოს. მაგრამ ბოლო მომენტში გამბედაობამ უღალატა, რომ ქართველ სამართალდამცავებს დანებებოდა და ნებაყოფლობით შესულიყო ქართულ ციხეში. ამიტომ მიშა ირჩევს საზღვრის ფარულად უკანონო გადაკვეთას.

რძისა და არაჟნის კონტეინერში მჯდარი „რომანტიკული ქართველი“ საქართველოს დასაპყრობად მიემართება, რომ ის ახალ შეყვარებულს – ლიზა იასკოს ფერხთით დაუფინოს... მაგრამ, ბედის ირონიით, ყველაფერი გეგმის მიხედვით როდი წარიმართა – არჩევნებამდე თბილისში კონსპირაციულ ბინაში ჯდომა, ხოლო შემდეგ ახალი „ფერადი რევოლუციის“ სათავეში ჩადგომა არჩევნების შედეგების გაყალბების საბაბით, როგორც 2003 წლის ნოემბერში, არ გამოვიდა – ის დააკავეს და ციხეში გაამწესეს.

თანამებრძოლების მიერ მოტყუებული *(საქართველოში ასიათასობით მხარდამჭერი გაგათავისუფლებს მეორე დღესვე, ოღონდ ჩამოდი!)* სააკაშვილი მისიის ჩაფლავების შემდეგ მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს, რადგან მის წინააღმდეგ აღძრულია სხვა საქმეებიც, რომლებზეც სასჯელი, საქართველოში სასჯელის შეკრებითობის პრინციპი რომ არ გაუქმებულიყო, ჯამურად 36 წელი იქნებოდა და ეს 2008 წლის აგვისტოში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომის გაჩაღების ბრალდების ჩაუთვლელად!

ამასთან, როდესაც სააკაშვილის შიმშილობამ 40 დღეს გადააჭარბა, ხელისუფლებამ გამოაქვეყნა მტკიცებულებანი, რომ ის კი არ შიმშილობდა, არამედ მაღალკალორიულ საკვებს იღებდა.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, სააკაშვილს ბუნებით არ შეუძლია გაუმკლავდეს გაჭირვებას, უყვარს კომფორტი და ძალიან მშიშარაა. მას ეშინია პატიმრების მუქარის, რომელიც ყველა საკნიდან ისმის. **ამიტომ, სააკაშვილი, რომელიც ეჭვობს, რომ ის „გაწირეს“**, რადგან *სტრასბურგი და კიევი არ ახდენდნენ საკმარის ზეწოლას საქართველოს ხელისუფლებაზე, მისი, როგორც უკრაინის მოქალაქის, ექსტრადირება მომხდარიყო უკრაინის ერთ-ერთ კლინიკაში,* **იძულებულია, განაგრძოს სპექტაკლი უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებამდე.**

**ამასობაში სამხედრო მოქმედებები მართლაც დაიწყო, მაგრამ არა უკრაინაში, არამედ ყარაბაღში.**

ცხადია, ზემოხსენებულმა „საინიციატივო ჯგუფმა“ სააკაშვილის მისიის მარცხის დანახვისას აამოქმედა ახალი „საშინაო დავალება“ სამხრეთ კავკასიის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის.

**„კავკასიურ პლატფორმა“ გადაწონა „ყირიმის პლატფორმამ“ – დღეს ის უფრო კომფორტული და მომგებიანია, მით უმეტეს, რომ თურქეთი და საქართველო ვერ იქნებოდნენ ორივე პლატფორმაზე ერთდროულად** *(„კავკასიურზე“ – რუსეთია, „ყირიმისაზე“ კი უკრაინაა).*

*დაკავების შემდეგ სააკაშვილმა შემთხვევით როდი უწოდა ერდოღანის ინიციატივას — “3 + 3” პუტინის ინიციატივა, რომლითაც “კრემლის ოლიგარქი ივანიშვილი”, ვითომდა, აშანტაჟებს დასავლეთს – ნუ ითხოვთ ჩვენგან სააკაშვილის გათავისუფლებას, თორემ დაივიწყებს რა რუსეთთან უთანხმოებას, საქართველო შეუერთდება „კავკასიურ პლატფორმას“.*

*ახლა, ყარაბაღში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, „კავკასიური პლატფორმა“ თავისთავად უკანა პლანზე გადაიწევს და საქართველოს არ მოუწევს არჩევანის გაკეთება ორ პლატფორმას შორის.*







**არნო ხიდირბეგიშვილი**
საქინფორმის
მთავარი რედაქტორი

# სააკაშვილი – ნერონის რეინკარნაცია

დღეს კვირაა.

საქართველოს სირცხვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად პატიმარი სააკაშვილი გლდანის მე-18 დაწესებულებიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

უცნაურია ცხოვრება.

რას იფიქრებდა მიხეილი, რუსთავის ციხეში თუ აღმოჩნდებოდა, მერე მისი და მისი რეჟიმის მიერ ადამიანთა საწამებლად ქცეულ გლდანის მე-18 დაწესებულებაში თუ გადაიყვანდნენ ეტაპით, იქ თუ ფეხებს გაასავსავებდა, იატაკზე იხოხიალებდა და ბოლოს მწვავე ფაღარათით, საერთო ფიზიკური და ფსიქიკური სისუსტის დიაგნოზით გორის სამხედრო ჰოსპიტალში თუ გადაიყვანდნენ.

ბევრი რამე მინდა დავწერო ნაციონალების და სააკაშვილის თუნდაც ახლანდელ უტიფრობასა და აღვირახსნილობაზე, მაგრამ ყოფილა რაღაცები, რომლებზე წერაც და ლაპარაკიც კი გეუხერხულება, არ გეკადრება ადამიანს, არ კადრულობ ზნეობრივი სიბილწის კიდევ



იგორ ივანოვი. 2003 წ.

ერთხელ, თუნდაც კალმით, შეხებას.

ადამიანმა, სადაც არ უნდა იყო, ციხეში, საღორეში თუ ხელმწიფედ, ადამიანური სახე არ უნდა დაკარგო...

დღეს სააკაშვილი არის პატიმარი.

მისი, სახალხო დამცველის და ზოგიერთ სხვათა აზრით, არის პრივილეგირებული პატიმარი. მაგრამ პრივილეგირებული იქნება თუ არაპრივილეგირებული, პატიმარი პატიმარია.

მან თავის თავს თვითონ მიუსაჯა უდიდესი სასჯელი.

ის ძალაუფლების პყრობის მანიაკალური ვნების და სხვა უფრო მდაბიო ვნებათა ტყვე და ტუსაღია. ისეთი პატიმარია, სულ რომ ჩიტივით თავისუფალი იყოს, მაინც რომ ბორკილდადებულია, მიჯაჭვულია ამბიციებს, ვნებებს და კოშმარულ წარსულს.

მიშა პატიმარი კი არა, მონაა.

მონაა თავისი ქვენა, მდაბიო სურვილების, განდიდების, სხვაზე უკეთესობის ჟინის თავად მდაბიო მონა.

მას ასჯერ და ათასჯერ ჯობდა და ჯობს მიცვალებული სულიკო ასათიანი, რომელსაც, რაც სურდათ, რომ ვერ ათქმევინეს, 26 მაისს ენა ხორხიანად ამოაგლიჯეს სააკაშვილის ზონდერ-ბასკერვილებმა და მაღაზიის სახურავზე მკვდარი შეაგდეს, ვითომ ავიდა და იქ დენით მოკვდაო...

მათი რეჟიმის დროს, 2003-დან 2009 წლამდე, გლდანის ციხიდან დახოცილი და გამოსვენებული 801 პატიმრიდან ყველას მეტი ღირსება ჰქონდა, ვიდრე ამ ერთ საცოდავ, ფაღარათიან არსებას, რომელსაც თავმოყვარეობა ციხეში კი არ დაუკარგავს, უბრალოდ, არასდროს ჰქონია.

ამის დასტურია, თუნდაც ხელების ფარჩხვით და ბავშვური დაჟინებით ლაპარაკი — არსადაც არ წამოვალ, არაფერს არ გავიკეთებ!..

მე თვითონ მრცხვენია, ჩემი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი „რეიტუზით", წელს ზემოთ შიშველი, ფეხშიშველი, უთავმოყვარეო, მანიაკალური თვისებების მქონე კაცი რომ იყო, რომელსაც დღემდე უნდა, ჩემს უძველეს ერზე მაღლა დადგეს...

სამწუხაროდ, საქართველო ახლა დაჩოქებულია.

მაგრამ ეს დაჩოქებული, დამცრობილი, ტერიტორიებდაკარგული, გაძარცვული ერი, სულაც რომ განადგურდეს, მასზე გამარჯვებული ვერ იქნება ვერც მიშა, ვერც გრიშა, ვერც ნიკუტა, ვერც — მელია და ვერც კოლექტიური, უწარსულო და უმომავლო ჟორჟოლიანები, ვერც რომელიმე ერი და ვერც ერთი სახელმწიფო.

საქართველომ, როგორც სუსტი და უძლურიც არ უნდა იყოს დღეს, თავისი არსებობის მანძილზე უმდიდრესი ღვაწლი დასდო კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიას და იმიტომ...

აქ სააკაშვილები რა მოსატანია?!.

●

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, აფხაზეთში ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია იგეგმებაო.

საქართველო ნატოსკენ მიიწევს, სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებისკენ, რომელიც სახელმწიფოს აღიარებს იმ საზღვრებში, რომელშიც ნატოში გაერთიანების მომენტისთვის არის.

სეპარატისტულ ე.წ. სამხრეთ ოსეთს კი, რომელსაც, სხვათა შორის, გამსახურდიას პერიოდში გაუქმებული ავტონომია მიხეილ სააკაშვილმა აღუდგინა, საბოლოოდ, საერთაშორისო ლეგიტიმაციისთვის, ტალიავინის კომისიის დასკვნით, ავანტურისტული ომიც კი დაუწყო.

აზერბაიჯანი გარეჯის მხრიდან საქართველოს უძველეს ტერიტორიას გვედავება, სომხეთს სამცხე-ჯავახეთზე თვალი უჭირავს, თურქეთს აჭარა სურს, აშშ-სა და დასავლეთს სამხედრო დასაყრდენი საქართველოში.

ამ ვითარებაში მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ხელისუფლების დასაბრუნებლად იბრძვის.

მე, ცხადია, არ ვიცი, ამ „ბრძოლაში" იგი ვის მხარდაჭერას იყენებს, მაგრამ ერთი კი ზუსტად შემიძლია ვთქვა, ყველანაირად დასუსტებული ჩვენი ქვეყანა ამ ვეშაპების წინაშე, ღმერთმა არ ქნას და, თუ საბოლოოდ განადგურდა, მისი მესაფლავე მიხეილ სააკაშვილი იქნება!

●

„...ყოველთვის ვაღიარებდი, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კრემლის პროექტი იყო და გახლავთ ყველა იმ უბედურების ინიციატორი, რაც გადაიტანა ქართველმა ხალხმა.

თავად განსაჯეთ: ჩემი ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, მე ვფლობ, როგორც ღია, ასევე დაფარულ ინფორმაციებს პოლიტიკურ სიტუაციებზე, მაგრამ ახლა მხოლოდ ღია ინფორმაციებზე დაყრდნობით მოგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო ალექსანდრე ვალიუშინის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხარდაჭერილი კანდიდატურა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა თავისი ბიძა, თემურ ალასანია. ეს უკანასკნელი გახლდათ კგბ-ს გენერალი სსრკ-ში. მათი დახმარებით მიიღო სააკაშვილმა საქართველოს მმართველობის მანდატი.

მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას მხარს უჭერდა ევგენი პრიმაკოვი თავისი ძველი მიზნით — შური ეძია ედუარდ შევარდნაძეზე, იმის გამო, რაც მოითმინა შევარდნაძისგან, პირველ რიგში, მორალური თვალსაზრისით, სსრკ-ში მოღვაწეობის პერიოდში.

საიდუმლო არაა, რომ ევგენი პრიმაკოვი კეთილად არ იყო განწყობილი საქართველოს მიმართ.

მისი მომხრე იგორ ივანოვი, რომელიც უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, ჩამოფრინდა თბილისში და დადგა სააკაშვილის გვერდით მიტინგზე, რითაც, ფაქტობრივად, გადასცა მანდატი მიხეილ სააკაშვილს რუსეთის ფედერაციისგან ედუარდ შევარდნაძის დასამხობად.



სწორედ ეს იგორ ივანოვი გაფრინდა მერე აჭარაში, რომლის ხელმძღვანელიც ეწინააღმდეგებოდა სააკაშვილის აღზევებას და წაიყვანა ასლან აბაშიძე სააკაშვილის თანხმობით, რითაც პრიმაკოვმა მიხეილ სააკაშვილს გადააბარა მთლიანად საქართველოს მმართველობა.

მიხეილ სააკაშვილმა კოდორის ხეობას სახელი გადაარქვა და უწოდა ზემო აფხაზეთი, რითაც დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმება დემილიტარიზებული ზონების შესახებ. შეიყვანა იქ სამხედრო ნაწილები და მისცა შესაძლებლობა რუსეთის ფედერაციას, ლეგალურად დაეკავებინა აფხაზეთის სვანეთი.

2008 წლის ომი აბსოლუტურად იყო შეთანხმება კრემლთან, შეთანხმება იყო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და კრემლს შორის.

შეთანხმება წარმოებდა გიგა ბოკერიას უშუალო მონაწილეობით. ის გახლდათ საზღვარგარეთთან ურთიერთობის საქმეთა მინისტრი. რუსეთის მხრიდან არკადი დვორკოვიჩთან.

დვორკოვიჩი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელის დმიტრი მედვედევის ადმინისტრაციაში.

ბოკერია და დვორკოვიჩი ყმაწვილობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, როგორც მოჭადრაკეთა ოჯახების წარმომადგენლები. მოჭადრაკეთა ოჯახები სსრკ-ში ელიტარულ წრეებად ითვლებოდნენ.

ომით, რომელიც კატასტროფული და დამღუპველი იყო ქართველი ხალხისთვის და გამოიწვია გაუცხოება, გაუგებრობა, საშინელი წინააღმდეგობა ორ მართლმადიდებელ ხალხს შორის, რუსეთის ფედერაციამ მიიღო ის, რაც სურდა.

ამიტომაც მხარს უჭერდა და უჭერს რუსეთი სააკაშვილს და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას".

ქართველ ხალხს არ სურს ეს ადამიანები და გამოდის მათ წინააღმდეგ.

რუსეთი კი, წარმოაჩენს სააკაშვილს, როგორც პუტინის უმთავრეს მტერს, არადა, ყოველთვის ეხმარებოდა მას ძალაუფლების შენარჩუნებაში.

ქართველები კი ვერ იტანენ სააკაშვილს და ეს არაერთხელ დაამტკიცეს არჩევნების საშუალებით.

ყველაფერი, რასაც აკეთებს მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აწყობს კრემლის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც კრემლი იყენებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და მიხეილ სააკაშვილს, როგორც დესტრუქციულ ძალებს, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უკრაინაშიც.

მით უმეტეს, რომ რეგიონში დაწყებულია გლობალური პროცესები და საქართველოსთვის აუცილებელია სტაბილურობა...

საქართველოში სამართლიანობა დღეს არ არსებობს.

ათასობით ქართველი ვერ ბრუნდება სახლებში, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ ათასობით წლების განმავლობაში.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა, რომელმაც შეინარჩუნა იდენტობა, მართლმადიდებლური რწმენა, იმის მიუხედავად, რომ მრავალი იმპერია, რუსეთის ჩათვლით, ცდილობდა, გაენადგურებინა ის, რაც საქართველოს აქვს ბოძებული ღმერთისგან, ღვთის დედისგან, რასაც უფრთხილდება ეს ერი და პატრიარქი ილია II, რომელიც ქართველი ერის მამად იწოდება.

არ დაუჯეროთ პროვოკატორებს.

მშვიდობიანი დიალოგით ვეცადოთ, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვოს საქართველოში, რუსეთში, კავკასიაში, მსოფლიოში". — ამბობს რუსი ჟურნალისტი მაქსიმ შევჩენკო, 2020 წლის 28 დეკემბრის ვიდეომიმართვაში.




ვლადიმერ პუტინი და ევგენი პრიმაკოვი

●

როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი რუსული „პროექტია", რომელიც, მერე, სავარაუდოდ, დასავლეთმაც „მოიწონა" და შეეცადა, თავის სასარგებლოდაც გამოეყენებინა, რადგან ერთხელ „გაბოზებული", „მეორედაც" იოლად „ბოზდება".

სააკაშვილმა საკუთარი თავი ხომ გაყიდა; პრეზიდენტი რომ გახ-



და, მერეც ვერ დააღწია თავი საკუთარ სულში არსებულ პატარა, მცირე ადამიანს, შინაგანად ვერ გახდა მთელი ქვეყნის პრეზიდენტი. ქვეყანას და ერს თავისი ვიწრო გადასახედიდან ჭრიდა, ყიდდა, აცამტვერებდა, აომებდა, რაღაცაზე შურს ძიობდა…

ბავშვობაში „აჩმორებდნენ“ თურმე.

ამიტომ დიდობაში კაცობა მოინდომა.

კაცობა კი, მისი საზომით, ლამაზი ქალების „დათრევა“ იყო.

ცდილობდა, მთელი ცხოვრების წარუმატებელი კომპლექსები საკუთარ თავში ამით დაეთრგუნა და ცხოვრობდა, ვითომდა, მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრებით, რომელიც, ადამიანში, საბოლოო ჯამში, როგორც წესი, პიროვნების, კაცის და მამაკაცის სრული კატასტროფით მთავრდება.

●

მას არასდროს ჰქონია წარმატებები ქალებთან, ამიტომ, როგორც ტაქტიკას, ისე იყენებდა თურმე დაპირებას ყველა ქალის მიმართ, რომ მათ მოიყვანდა ცოლად.

ის ყოველთვის იყენებდა ამ ტაქტიკას, ამტკიცებენ მისი ყოფილი პარტნიორი ქალები.

გერმანელი მასაჟისტი დოროთი შტეინი, დოქტორი დოტი ჰყვება: „სასტუმროში შევთავაზე მასაჟის გაკეთება. მას ძალიან მოეწონა ჩემს მიერ გაკეთებული მასაჟი. ის იყო ძალიან საყვარელი, მხიარული. იმ შემთხვევის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მთხოვა მასაჟის გაკეთება,



ელენა ბურჩაკი

თუმცა მე ვცხოვრობდი ბერლინში, ამიტომ მთხოვა, ჩავსულიყავი საქართველოში. 2008 წელი იყო. ომი. შემეშინდა, თუმცა ის დამპირდა, რომ ჩემს უსაფრთხოებაზე თავად იზრუნებდა. მან გამომიგზავნა საკუთარი თვითმფრინავი და ჩამოვფრინდი ბათუმში.

მე არ დავიცავ მას. ვიტყვი მხოლოდ სიმართლეს.

ორმეტრიანი დაცვის წევრები მესაუბრებოდნენ ინგლისურ ენაზე.

არავის მოუთხოვია პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი და რა უნდა მექნა, პოლიციას ხომ არ მივმართავდი. მე ვიცნობდი მიშას უკვე და დარწმუნებული ვიყავი, რომ საიმედო ხელში ვიყავი“.

ელენა ბურჩაკი, უკრაინა: „ჩვენ ერთმანეთი უკრაინაში გავიცანით დაბადების დღეზე. მიხეილმა თავად გამოიჩინა ინიციატივა, მოვიდა ჩემთან და საუბარი დამიწყო. ის საუბრობდა ყველაფერზე და თითქოს არაფერზე. შემდეგ მწერდა სმს-ებს, მირეკავდა, მიგზავნიდა ძვირფას საჩუქრებს. მერე შემომთავაზა დასვენება მონაკოში. მე დავთანხმდი.

საოცარი საჩუქრები იყო — ძალიან ძვირფასი ბეჭედი, ყვავილები, სამკაულები, უძვირფასესი საყურეები, თუმცა უნდა ითქვას, რომ მას ძალიან დაზიანებული აქვს ნერვული სისტემა, ის ყველაფერზე რეაგირებს, ფეთქებადი, ძალიან ემოციური ადამიანია. ხანდახან მეშინოდა კიდევაც, რომ ყოველივე ეს ჩემზეც გადმოვიდოდა. მე მგონია, რომ მისი ასეთი მდგომარეობა ალკოჰოლის ზედმეტი მოხმარების, თუ სხვა რაიმეს ბრალია, მოკლედ, ნერვული სისტემა აქვს დაზიანებული.

ძალიან მეშინოდა მისი, რადგან, პატარა რამეზეც ხმამაღლა ყვიროდა. ხანდახან მეგონა, რომ ის რომელიმე ნარკოტიკს ღებულობდა. ყველაფერის თქმა ძნელია, (პაუზა.) თუმცა მისი აგრესიულობა ინტიმურ ცხოვრებაში აშკარად გამოიხატებოდა და (პაუზა.) შეეძლო ტანსაცმელი შემოეხია ჩემთვის, შეეძლო ვეცემე სქესობრივი ცხოვრების დროს. (პაუზა.) მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ



ალექსანდრა ჩომახიძე

საწოლში. (პაუზა.) ჩვეულებრივ ცხოვრებაში მას ჩემთვის არ უცემია.

ბოლოს ის ძალიან აგრესიული იყო და ვცდილობდი, დავშორებოდი ნელ-ნელა. დიახ, მას ჰქონდა მანიაკალური თვისებები. მე აქამდე მეშინია მისი, რადგან ბევრი რამ შეუძლია დამიშავოს.

მას შეუძლია დამირეკოს, როცა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იქნება და დამემუქროს.

2016 წელს მან მაჩუქა პორშე-კაიენი (85 000 ევრო).

ხომ გითხარით, ძვირადღირებულ საჩუქრებს მიძღვნიდა, მაგრამ მე მაინც არ მინდა, რომ დამირეკოს“.

ჩვენ ადრე ვწერდით მიხეილ სააკაშვილის ტრანსგენდერ სექს-პარტნიორზე, რომელიც მისი ვაჟის — ედუარდის კლასელი ყოფილა თბილისში.

ალექსანდრა ჩომახიძე (ტრანსგენდერი ქალი): „მეგობარმა მითხრა, სააკაშვილი აქ ცხოვრობს, მოდი, გაგაცნობო. მეც დავთანხმდი. ჩვენ მიმოწერა გქვონდა ინტერნეტის საშუალებით, მერე ტელეფონი მთხოვა. სანამ უნდა გაგრძელებულიყო ასე და მან დამირეკა. (პაუზა.)

იმ საღამოს ისე დავიღალე, უცებ დამეძინა. დილით თავი მტკიოდა, რომ გავიღვიძე.

დოროთიც (დოქტორი დოტი) ამბობდა, რომ მას რაღაც სასმელი დაალევინა, ეს ან ძალიან ძველი ღვინოა, ან სხვა რამე, მაგრამ რაც მიშამ დამალევინა, ძლიერი სასმელი იყო. გავბრუვდი.

ჩვენ ძალიან დიდი ხანი გვქონდა სექსი. ის ბავშვივით იყო. მომეჩვენა, რომ ახლო „კამპანია“ უნდოდა რომ ჰქონოდა, სურდა ვინმეს გულახდილად დალაპარაკებოდა. (პაუზა.)

დილით, რომ ავდექი, მიხეილს ეძინა, ვიფიქრე, მოდი, ფოტოს გადავუღებ-მეთქი და გადავუღე.



დოროტი შტეინთან

მას უყვარს ორალური სექსი. იძლევა ბრძანებებს (პაუზა.) საწოლში ყველაფერს აკეთებს“.

დოქტორი დოტი: „მანჰეტენზე სალონში მივედი. თმის სპეციალისტი მეკითხება: რას საქმიანობთ? მე ვუპასუხე, რომ მე ვუკეთებ მასაჟს მსოფლიო ვარსკვლავებს. მან არ დაიჯერა და მე ვაჩვენე ჩემი ფოტოსურათები გადაღებული მიკ ჯაგერთან, მერაია ქერისთან, მიხეილ სააკაშვილთან და დავძინე, რომ ეს იყო ქართველი პრეზიდენტი. პარიკმახერს გაეცინა: მე მას ვიცნობ, — მითხრა. გამიკვირდა, საიდან იცნობ-მეთქი? ჩემს ერთ კლიენტს მასთან ურთიერთობა აქვს. ის ტრანსსექსუალია. მან მითხრა იმ ტრანსსექსუალის სახელი და გვარი და მე მივწერე მას: გამარჯობა, ალექსი. მე ვარ დოქტორი დოტი. თქვენ იცნობთ მიშას? ის თავიდან თავს იკავებდა, მაგრამ მერე მე და ალექსი დავმეგობრდით. ის მომიყვა მის ურთიერთობაზე მიხეილთან, მაჩვენა ფოტო. შემდეგ მიმიწვია თავის სახლში ნიუ-იორკში. გავოგნდი, ისეთი მდიდარია. მდიდარი ამერიკელივით ცხოვრობს, არადა, ის საქართველოდანაა.“

●

ასე იყო იმ პერიოდში, როცა ბრწყინდებოდა მიშას მზე და თავად მიხეილი ხალხის საყვარელი ლიდერის მანტიას კისკისით ირგებდა…

მანამდეც არ სწყალობდა, მაგრამ 2003 წლიდან სააკაშვილი და მისი ამფსონები „რუსეთის მიერ დანიშნულ“, როგორც თვითონ უწოდებდნენ, „კორუმპირებულ“ თანამდებობის პირებს, დაერივნენ. ისინი სხვადასხვა მეთოდებით ჩამოიშორეს და საეჭვო სარანჩებივით შეესივნენ სახელმწიფო სტრუქტურებს.

ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება რევოლუციის სახელით და რევოლუციის თანმდევი სავალალო შედეგებით — ანგარიშსწორებებით, ნგრევით, ძარცვით, მისაკუთრებით.

ეს არის და იყო ყოველთვის „მისი უსინდისობა“ — რევოლუციის ხელწერა.

რამდენი ქართული ობიექტი გაყიდეს, რა დიდძალი ქონება გაანიავეს რუსების სასარგებლოდ, ნაწილი თქვენც იცით, ნაწილი ჩემს წინა წერილებში ჩამოგითვალეთ და დიდი ნაწილი, ასევე, ჩვენს თვალწინაა გადაცემული ტერიტორიების სახით…

ჩნდება კითხვა: თუკი რუსეთს ემორჩილება და პატივს სცემს, რატომ უჭერდა მხარს დასავლეთი, რატომ, ეხმარებოდა ფინანსურად და იდეოლოგიურად, რატომ უწოდეს მიშას „დემოკრატიის შუქურა“ რეგიონში?!

ჩემო ძვირფასებო, ეს, რომ იტყვიან, სხვა „სიმღერაა“, სხვა ისტორიაა, ნაცხელისუფლებისა და მიხეილ სააკაშვილის „მოღვაწეობის“ ორიგინალური მეტასტაზია და ამაზე ცალკე მოგითხრობთ…

●

გასულ კვირას კიდევ ერთხელ ვნახეთ საშინელი კადრები ციხის წამებების სერიალიდან.

ვნახეთ-მეთქი, კი ვწერ, მაგრამ მე არ მინახავს. ვერ ვუყურებ. მიჭირს ადამიანის სულიერი და ფიზიკური დაცემის, მისი დამცირებისა და განადგურებისთვის თვალის გასწორება…

ვიხილეთ „ტანჯული“ სააკაშვილის მიერ ღირსების ორდენით ორჯერ დაჯილდოებული მეგის ქარდავასა და საწამებელი ციხის ჯალათის, ოფიციალურად კი ციხის უფროსის, მუხაძის, მეტსახელად „ქილერას“ მიერ წამებით, ძალადობით, ტყვიის დამიზნების მუქარით, კაცის მიერ კაცის გაუპატიურების კადრების ყურებით, როგორ შეაჭამეს პატიმარს თაბახის ფურცელზე დაწერილი ჩვენება და დაემუქრნენ: თუ რუსეთის აგენტობას არ აღიარებ, შენც გაგაუპატიურებთო. შემდეგ შარვალი ჩახადეს, სასქესო ორგანო უკან მიადეს და ფოტოები გადაუღეს, შენს ახლობლებს ვაჩვენებთო.

პატიმარმა აღიარა, რომ რუსეთის აგენტი იყო, გეგმავდა ტერორისტულ აქტებს და ა. შ.

მაგრამ ეს იყო ჟურნალი. რადგან ბრძანება იყო, თავად ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებს „აღმოეჩინათ“ საქართველოში, რაც შეიძლება მეტი ჯაშუში, ოღონდ რუ-სე-თის!!! ამიტომ პატიმარს თანამზრახველები უნდა დაესახელებინა…

თქვენს წინაშეა, კლასიკური ფარსის სიუჟეტი, მაგრამ მივყვეთ მოვლენებს: მოკლედ და კონკრეტულად, პატიმარი იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ ითხოვდა, ერთი ტყვია გენანებათ? მესროლეთ და მომკალითო.

ეს კაცი მაშინ ფიზიკურად არ მოუკლავთ, ჩააგდეს დილეგში და იმდენი აწამეს და აშიმშილეს, 2012 წლის ამბებს რომ არ მოესწრო, გულგვამამოცლილ მიცვალებულს გაატანდნენ ახლობლებს.

ეს პატიმარი 40 კილო გამოვიდა ციხიდან 2012-ში.

სხვათა შორის, სააკაშვილის მიერ რუსეთის ჯაშუშობის აბსურდული ბრალდებით დაჭერილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია, შიმშილობითა და წამებით დასუსტებული, სკამზე ვერ ჯდებოდა, ციხიდან რომ გამოვიდა.

●

დღეს ჩემთვის გაუგებარია, უბრალო ადამიანები რატომ იკლავენ თავს სააკაშვილის გულისთვის, კაცისთვის, რომელიც ეჭვმიტანილია ოკუპანტი ქვეყნის და არა მხოლოდ, ოკუპანტი ქვეყნის ჯაშუშობაში, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვაში, არის ზნეობისგან, მორალისგან, სიწმინდისგან დაცლილი და გახლავთ, უბრალოდ, ავადმყოფი?!..

ნუთუ დენი და გზა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის უტყუარი ფაქტები, რომლებიც თუნდაც ამ პატარა წერილში ჩამოვთვალეთ?!

იმის მიუხედავად, რომ გიული ალასანია თავისი კრიმინალი შვილის უპირობო გათავისუფლებას ითხოვს და თავად სააკაშვილსაც, როგორც ყველა პატიმარს, თავი უდანაშაულო ჰგონია, დიდი იმედი მაქვს, ის, მინიმუმ, 6 წელიწადს საპატიმროში გაატარებს.

მისი მომხრეები ამის გაგონებაზე სიბრაზისგან ლურჯდებიან. მაგრამ ისმის გარკვეულწილად კომიკური, ამავე დროს რაღაცნაირად ბედისწერული კითხვა: ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა დამთავრდეს სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობისადმი დაცინვა და მისი „რაღაცაზე“ გადახევა, როდის უნდა დაიწყოს საქართველომ ნორმალური ცხოვრება ზნედაცემული და სულგაყიდული რეზიდენტების გარეშე?!..

იმედია, ეს დრო 2022 იქნება…

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**p.s. ბევრი ვძებნე, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ვერ ვიპოვე სააკაშვილისნაირი გაიძვერა, ვერაგი, გამყიდველი, უზნეო ისტორიული პირი.**

**ის აბსოლუტურად არაქართული მოვლენა და არაქართული ფენომენია…**

**მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმეს ჰგავს, ეს არის ნერონი, რომელმაც რომი გადაწვა…**

**ნერონის რეინკარნაციაა ეს კაცი!**

**ესეც ისე დაუფიქრებლად გადაწვავს საქართველოს, რომ ხელიც არ აუკანკალდება…**

# ჩვენს გარშემო ყველას თავისი ინტერესები აქვს. ერთადერთი უინტერესო ქვეყანა არის საქართველო, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე ანადგურებს

*გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე:*

**— ბატონო დემურ, ყოველი არჩევნების შემდგომ, უკვე 9 წელია, ნაცების მოგერიება გვიწევს. თითქოს, არჩევნებს კი არ ვატარებთ, არამედ ომში ვიბრძვით. რით არის ყოველივე განპირობებული?**

— არსებულ ვითარებას ცოტა სხვაგვარად ვუყურებ იმიტომ, რომ კარგად ვიცი, რეალურად, რა მდგომარეობაცაა. რაც შეეხება თვითმმართველობის არჩევნებს, „ქართულმა ოცნებამ" „მიაღწია" იმას, რომ ოპოზიცია, რომლის სათავეში „ნაცმოძრაობა" დგას, სრულად რეაბილიტირებული და ლეგიტიმირებულია. ნაცებმა ხმების დიდი რაოდენობა მიიღეს. ის ტექნოლოგია, რომელიც ჯერ კიდევ 1995 წლიდან იქნა აპრობირებული, კვლავ, წარმატებით მუშაობს. ანუ, ხელოვნურად შექმნილი ორპოლუსიანი სისტემა. ერთი არის „ნათელი და ხელთუქმნელი", მეორე — „ბნელი და საშიში". სინამდვილეში, ეს, სისტემის ორი განუყოფელი ნაწილია, რომელიც ამ პროპაგანდისა და საქართველოს მოქალაქეების გონებაზე ზეწოლის გამო, გარკვეულ საფრთხეებს ქმნის. ჩვენ, გვეუბნებიან: თუ ერთი არა, იქნება მეორე და ქვეყანა დაიღუპებაო. არადა, რეალურად, ასე არ არის: არც „ქართული ოცნების" და არც „ნაცმოძრაობის" არყოფნით, ქვეყანა არ დაიღუპება. სხვა რესურსებიც არსებობს. თუ მათ ქვეყნის დაღუპვა შეუძლიათ, მაშინ ასეთი ქვეყანა, თავისთავად, ღირსი არ არის რომ არსებობდეს. რეალობა სხვაა, პროპაგანდა — სხვა. თან, აქვე, ერთ რამეს დავაკვირდეთ: ჩამოუყალიბებელ, კვაზი სახელმწიფოებში ე.წ. დემოკრატიული არჩევნები, ყოველთვის, დესტაბილიზაციის წყაროა. ასე, მხოლოდ საქართველოში როდი ხდება. ეს განპირობებულია იმით, რომ არ არსებობს თამაშის წესები, კანონისადმი პატივისცემა, ყველაფერი აგებულია გაყალბებაზე, ტყუილზე და ა.შ. ბოლო 30 წელია ასეა და არც არაფერი იცვლება. ამიტომ, ბრძოლა გავლენის სფეროების გადანაწილებაზე მიდის. საქართველოს განვითარება არც სააკაშვილის ხელისუფლების დროს ხდებოდა და არც ახლა. დავსვათ კითხვა: რამ დაღუპა მაშინდელი ხელისუფლება და პირადად მიხეილ სააკაშვილი? პასუხი მარტივია — მათ მიერ შექმნილმა მახინჯმა სისტემამ. რა ღუპავს ახლანდელ ხელისუფლებას? — სწორედ ის, რომ მათ სააკაშვილის შექმნილი სისტემა სიამოვნებით მიიღეს, მეტიც, განავითარეს, რაც მათ ბოლოს უღებს. ეს გახლავთ რეალობა, სხვა საშიშროება ქვეყანას არ ემუქრება. საქართველო არის შემდეგი საფრთხის წინაშე — იგი 30 წელია არ ვითარდება, 2 მილიონზე მეტი მოსახლე უცხოეთშია და ოჯახებს იქედან არჩენს, აქ, უმუშევრობა ძალიან მაღალია, შემოსავლები დაბალი. ხალხი ფსიქოლოგური ზეწოლის ქვეშაა. ცუდსა და ნაკლებად ცუდს შორის როცა ვირჩევთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამით ჩვენს მომავალს ვსპობთ.

**— რა წარმომავლობისაა თანხები, რომლებიც ნაცებს არ ელევათ?**

— ვერ გეტყვით, ეს რა ფულია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „ნაცმოძრაობა" 9 წელი ხელისუფლებაში იყო. დაინტერესებული პირებისთვის კარგად არის ცნობილი, თუ ვინ არიან ნაცების ფულის წყარო. ბუნებრივია, ისინი ფულით საკმაოდ კარგად არიან უზრუნველყოფილი საზღვარგარეთ, ოფშორებში. სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მათდამი მიმტევებლობის გამო, სამართალი რეალიზებული არ იქნა. არადა, „ქართული ოცნება" საქართველოს მოსახლეობამ სწორედ იმიტომ მოიყვანა ხელისუფლებაში, რომ სამართალს პური ეჭამა. შედეგად, ნაცები თავს მშვენივრად გრძნობენ. წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების არცერთი ბიზნესისთვის ხელი არავის უხლია, არავინ დასჯილა. დიახ, მათ ფინანსების პრობლემა არ აქვთ. დასჯის ნაცვლად, 9 წელია „ქართული ოცნება" ნაცებს მიზანმიმართულად რეკლამას უკეთებს — ლანძღვა-გინება „ნაცმოძრაობას" ციური მანანასავით კვებავს. ამას ამერიკელები „ფაბლისითის" უწოდებენ ანუ, უფასო რეკლამა, რომელიც ადამიანების მეხსიერებაში რჩება. სამწუხაროდ, დღეს „ნაცმოძრაობა" სრულად რეაბილიტირებულია.

თუ დავაკვირდებით, „ნაცმოძრაობა" ძალადობრივი ქმედებების გამოყენებაზე არც ფიქრობს, მას ეს არც სჭირდება, რადგან ქოცები დისკრედიტირებულნი არიან. ამ სიტუაციაში ნაცები მეთოდურად შექმნიან პრობლემებს, მთავრობას ობსტრუქციას მოუწყობენ და შესაძლოა, ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი კოალიციური მთავრობის შექმნით დასრულდეს.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ „ნაცმოძრაობა" საწადელს მიაღწევს?**

— ეს გახლავთ პოლიტიკაში მყოფი ადამიანების ჯგუფი, ვის მოსწონს იგი ან არ მოსწონს, პოლიტიკისთვის საინტერესო არ არის. რა გავაკეთეთ მათი პოლიტიკური დღის წესრიგიდან გასვლისთვის? — არაფერი, ხომ. თუ პოლიტიკური ორგანიზაცია სასამართლოს წესით აკრძალული არ არის, მას ცუდი ხარო, რომ უძახო, სასაცილოა და მეტი არაფერი. თქვენ, მეკითხებით: ნაცები საწადელს მიაღწევენო? რას ნიშნავს მიაღწევენ? მიღწეული აქვთ და ეგ არის.

**— მათი ფულის წყარო, გარკვეულწილად, ის 16 მილიარდიც ხომ არ არის, რაც ქვეყნიდან გაიტანეს?**

— დიახ, „ნაცმოძრაობა" საკმაოდ სოლიდურ ფინანსებს აკონტროლებს, ზუსტად არ ვიცი რა თანხაა, მაგრამ ამაში ეჭვი არ არსებობს. მას შესანიშნავად აწყობილი ინფრასტრუქტურა, მედია-საშუალებები, საინფორმაციო სააგენტოები, არასამთავრობოების მთელი ქსელი აქვს. ასევე, კავშირები, რაც ხელისუფლებაში ყოფნისას, დასავლელ პარტნიორებთან ე.წ. ლიბერალური მიმართულების ძალებთან დამყარა. ეს ყველაფერი არსებობს. „ქართული ოცნების" პოლიტიკური შეცდომების გამო, ნაცები, დღეს, რეალურ მოქმედ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ. მხოლოდ დამნაშავეეს ძახილი, საქმეს ვერ შველის. თუ დამნაშავეა, მე რას მეუბნები, ხელისუფლება იმიტომ გქვია, რომ დამნაშავე თავის დროზე გაგესამართლებინა.

**— ბატონო დემურ, ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ: „ნაცმოძრაობა", მსგავსი ქმედებებით, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალსო. თქვენ, რას ფიქრობთ?**

— საქმე ბევრად სერიოზულადაა. გლობალური დაპირისპირებების შედეგად, საქართველომ უახლოესი 100 წლის განმავლობაში ტერიტორიების 55% დაკარგა. ახლაც, იგივე ხდება.

ვფიქრობ, ყველა ადამიანი ვინც რუსულ, ამერიკულ თუ თურქულ სცენარზე ლაპარაკობს, უნდა ესმოდეს, რომ უდიდესი დაპირისპირების გამოძახილი არის ის ფონი, რაზეც აღნიშნული დაპირისპირება მყარდება. ცალსახად ამტკიცო: ეს რუსებისგან მოდის თუ ამერიკელებისგან, ასე არ ხდება. საქართველო, სამხრეთკავკასია, ახლო აღმოსავლეთთან და შუა აზიასთან ერთად, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში არის მოქცეული. ეს არამხოლოდ საქართველო, არამედ ერთიანი სივრცეა და ბუნებრივია, დღეს სახეზე ამ დაპირისპირების ანარეკლი გვაქვს. დიახ, რუსეთს, ამერიკას, თურქეთს, ირანს, ყველას თავისი ინტერესები აქვს. ერთადერთი უინტერესო და სხვის ფეხს აყოლილი ქვეყანა არის საქართველო, რომელიც საკუთარ თავს ანადგურებს.

მუდმივად, ერთიდაიგივე რამეებს ვაკეთებთ, ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა. დღემდე, არაფრის კრიტიკული გაანალიზება არ მომხდარა.

ზოგი დღესაც ვერ მიმხვდარა, ვის რა ინტერესი აქვს საქართველოში. სწორედ, ამ მიუხვედრელობამ დაგვაწყებინა ორიენტაციებზე საუბარი. როცა სახელმწიფო გაქვს, მისი ინტერესების ფარგლებში მოქმედებ და არა ისე, როგორც ისტორიულად იყო — ერთ მხარეს იბრძოდი მეორეს საწინააღმდეგოდ. მერე, ერთს უღალატებდი და მეორე მხარეს გადახვიდოდი.

თუ შენ, ფიქრობ, რომ ერთ მხარეს იბრძოლებ მეორეს წინააღმდეგ, ან მეორე მხარეს პირველის წინააღმდეგ და აქედან რაიმეს მოიგებ, როგორ ჩანს, ისტორიული მეხსიერება წაშლილი გაქვს და გონებრივი სისუსტე დაგმართნია. პროცესები გაცილებით ღრმაა და საფუძვლად სულ სხვა რამ უდევს, ვიდრე ეს პრო-დასავლურ და პრო-რუსულ ორიენტაციაზე საუბარია. რუსეთიც არსებობს და დასავლეთიც. საქართველომ მათთან ურთიერთობა უნდა დააბალანსოს, მაგრამ ამას არ აკეთებს და ამიტომაც იტეხს, ყოველთვის, კისერს.

**— ბატონო დემურ, დღეს განვითარებული მოვლენები ვადამდელი არჩევნებისკენ ხომ არ გვიბიძგებს?**

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ადრე, ამის აუცილებლობა, ნამდვილად, არ იქნებოდა. ახლა, არ მგონია, „ქართულმა ოცნებამ" მომდევნო სამი წელი ასე გაძლოს იმიტომ, რომ ეს პროტესტები ვერ მოიშლება. თანაც, გააჩნია პროცესებში ვინ და როგორ ჩაერევა.

ამ ვითარებაში მგონია, რომ კოალიციურ მთავრობას მივიღებთ როგორც გარდამავალ ფორმას, მერე, დრო გვიჩვენებს.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკურმა შეცდომებმა, სამართალი, სპეკულაციის საგანი გახადა. არავითარი სინდისის პატიმარი სააკაშვილი არ გახლავთ. ერთი რამ ვიცი: ხელისუფლებაში მყოფი ძალა 9 წელი დამნაშავეებზე არ უნდა მესაუბრებოდეს. თუ დამნაშავეა, მაშინ გვერდით რატომ გიზის ან მე, რატომ შემომჩივი, მე, გავუსწორდე კრიმინალს თუ რა გავაკეთო?! ეს ყველაფერი კარგად იქნა გათამაშებული, გეო-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებაზე ზემოთ გითხარით და მივიღეთ სამართალი, რომელიც სპეკულაციური ხასიათისაა. ცხადია, სინდისის და უკანონოდ დაკავებული პატიმარი სააკაშვილი არ გახლავთ. ეს სხვა თემაა. აქ, საუბარია კერძო, ძალიან სუსტ ბრალდებაზე, რისი რეალიზებაც საქართველოს ხელისუფლებას ვერ მოუხდენია. გასაგებია, რომ სააკაშვილის მომხრეები ამას სათავისოდ გაათამაშებენ, ასევე, „ქართული ოცნების" მომხრეებიც. შედეგად, გაიჭყლიტება ქართული საზოგადოება, სახელმწიფო. დიახ, რომ არა საინფორმაციო საშუალებები, ისინი, რეალურად, გავლენის მოხდენას ვერ შეძლებდნენ. ნაცები უმცირესობაში არიან, მაგრამ დომინირებენ იმიტომ, რომ შეცდომაში შეიყვანეს ამ ტრაგიკული სიტუაციის მომლოდინეც და მოსეირეც. ეს ქვეყნის, საზოგადოების ტრაგედიაა.

**— ახლა, საინფორმაციო საშუალებები ახსენეთ. პროცესებში მათ როლზე რას იტყვით?**

— არსებობს ე.წ. ვითომ, „მეინსტრიმული" ტელევიზიები ანუ, „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერები. ამ ტელევიზიების მაყურებელი არ ვარ და არც შეიძლება ამ გადაცემებს ვუყურებდე. ეს ნორმაში არ ჯდება. ისინი პოლიტიკური ორგანიზაციის ინფრასტრუქტურები არიან — იმას აკეთებენ, რაც ნაცების პოლიტიკური ორგანიზაციის თვალთახედვიდან არის საჭირო.






თამარ შველიძე
555 23 28 24

# არასახალხო დამცველ ლომჯარიას პოლიტიკური ვნებები და მიშას პირადი ექიმის საჯარო აღიარება: მიშას ფსიქიატრი ჭირდება!

„ამა წლის 16 ნოემბერს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილისთვის სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის მონიტორინგის მიზნით, მულტიპროფილური სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი მიიწვია“.

ეს გახლავთ ამონარიდი ოფიციალური ინფორმაციიდან, ყოვლად რთული, ყოვლად გაუგებარი. გამოგიტყდებით, არ მეგონა, თუ როდისმე დადგებოდა დრო, როცა საქართველოში რაღაცნაირი, არანორმალური ქართულით დაიწყებდნენ ლაპარაკს. მე პირადად, ძალიან მიჭირს „ახალი ქართულით“ საუბარი და მსჯელობანი.

მოკლედ, ადამიანური ენით რომ აგიხსნათ, არასახალხო დამცველმა... უფრო სწორად, მხოლოდ ნაცებისა და მათი ბელადის, მიხეილ სააკაშვილის დამცველმა ნინო ლომჯარიამ ჩამოაყალიბა ნაცი ექიმების ჯგუფი, რათა ამ ჯგუფის წევრებს განსაკუთრებულად ეზრუნათ (მომავალშიც



უნდა იზრუნონ) სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

დაიწყეს მუშაობა ლომჯარიას ე.წ. კონსილიუმში შემავალმა ექიმებმა პატიმრის კვლევა. დაიწყეს და როგორც მოსალოდნელი იყო, კაი გვარიანადაც აირივნენ, ერთ დღეს ასე ლაპარაკობდნენ, მეორე დღეს – ისე, ერთ დღეს არა უჭირდა რა განსაკუთრებულ პატიმარს, მეორე დღეს – ძალიან მძიმედ იყო, ერთ დღეს არა უშავდა რა გლდანის სამკურნალო დაწესებულებას, მეორე დღეს – იქ არ იყო ელემენტარული პირობებიც კი.ე.წ. ექიმები ყოველდღიურ სურათს ისე ხატავდნენ, როგორც აწყობდა ნიკოლოზ გვარამიას, მიხეილ სააკაშვილს და ნინო ლომჯარიას.

ვინ არიან ისინი, ვისაც აუცილებლად უნდა იცნობდეს ქართველი ხალხი?

**გიორგი გრიგოლია** – ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი; **გრიგოლი ხურციძე** – შინაგანი სნეულებები/ჰოსპიტალური მედიცინა; **გიორგი კაჭარავა** – კარდიოლოგი; **გიორგი პაპიაშვილი** – კარდიოლოგი/არითმიოლოგი; **აიდა გოზალოვა** – ჰემატოლოგი, კლინიკური ონკოლოგი, ინტერნისტი, პალიატიური მედიცინის სპეციალისტი; **მამუკა მაჩაიძე** – ინფექციონისტი, თერაპევტი; **თენგო წულაძე** – ნევროლოგი; **ნინო ზავრაშვილი** – ენდოკრინოლოგი;

როგორც ხედავთ, მიუხედავად საკმაო მრავალფეროვნებისა, კონსილიუმი მაინც არ არის დაკომპლექტებული სრულყოფილად... მაგალითად, ლომჯარიას არ ჰყავს მიწვეული პროქტოლოგი, უროლოგი, პედიატრი და ასე შემდეგ. უროლოგი საჭიროა იმისთვის, რომ იგივე სააკაშვილი (ოფიციალური ინფორმაციის თანახმად) შარდავს არაადეკვატურად. პოპულარულად რომ მოგახსენოთ, იფსამს, ეს ჩემისა! რაც შეეხება პედიატრს, ადამიანი (ყოფილი სარდალი), რომელიც იფსამს, ტრაწიანობს და ღნავის, ნამდვილად არის ბალღობის ასაკში. კი, სააკაშვილი ფიზიკურად აიყლარწა, აითორთლა, მაგრამ თავში ტვინის ხვეულების დიდი ნაწილი დარჩა განუვითარებელი.

როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ თქვა, ეს კონსილიუმი შეკრებილია ნინო ლომჯარიას მამიდაშვილის ხელმძღვანელობით. როდესაც ეს ინფორმაცია გამჟღავნდა, ზოგიერთმა კიკინები გაიშალა, როგორ გეკადრებათ, რა ჭორებს ავრცელებთო? ის, ადამიანი, რომელმაც ე.წ. კონსილიუმი შეკრიბა (გერმანიაში მოღვაწე ექიმი ნინო ნაცვალაძე), მართლაც არის ლომჯარიას მამიდაშვილი, მაგრამ არ არის ამ კონსილიუმის წევრი. მოგვიანებით თვით ლომჯარიამ ვეებერთელა მადლობაც გადაუხადა ქალბატონ ნინოს, რომ არა შენ, მე ვერაფერს გავაკეთებდიო. მართლაც მაგარია, გერმანიიდან საქართველოში „ნაციონალ“ ექიმებს რომ მოძებნი, მოაგროვებ და ერთ ხმაში ალაპარაკებ, მა რა არი?

იარეს, შევიდნენ, გამოვიდნენ, შევიდნენ სააკაშვილთან, ე.წ. ჟურნალისტებთან რაღაცებს ყვებოდნენ, დანამდვილებით ვერაფერს ამტკიცებდნენ... კიო, ეხლა არაუჭირს, მაგრამ ერთ-ორ საათში შეიძლება დამძიმდესო, შეიძლება გონებაც დაკარგოსო (რაც არ აქვს, რა უნდა დაკარგოს?). ბოლოს დასხდნენ ესენი, ეს ექსპერტ-ექიმები და დაწერეს „ვეფხისტყაოსანი“ კი არა და... სამედიცინო დასკვნა. დასაწყისში წავიკითხოთ ექიმთა შეფასება, ანუ ის, თუ როგორია (როგორი იყო იმ დროისთვის, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანამდე) მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა:

„მიმდინარე სტატუსი – კრიტიკული. რისკის განმსაზღვრელი ფაქტორები: 1. შიმშილობის 48 დღე დასტურდება, 2. ვერნიკეს ენცეფალოპათია, 3. პერსისტენტული ჰიპოკალემია – 08.11.2021 იდან, 4. ანემია – თალასემია + გასტროინტესტინალური სისხლდენის მაღალი ალბათობა, 5. მაღალი სტრესული გარემო“.

ესე იგი, ტიპს ისეთი რაღაცები ჩაუწერეს, წესით ცოცხალი აღარ უნდა იყოს. ამას დაუმატეს „მაღალი სტრესული გარემო“. რას ნიშნავს სტრესული გარემო, პატიმრები რომ აგინებდნენ, მაგას? თვითონ და მისმა დამქაშებმა „მოხვედი, ჩიტო“ ძალადობად და წამებად მონათლეს, მაგას? სხვათა შორის, დასკვნაში ისიც წერია, რა გართულებები შეიძლებოდა ყოფილიყო სააკაშვილის თავს. აქ პირველივე პუნქტში დაფიქსირებულია ვერნიკეს ენცეფალოპათიის დამძიმება კომით და ეპილეფსიური სტატუსით. ავი ენები ამბობენ, მიხეილს ეპილეფსია აწუხებს ბავშვობიდანვეო. მე არ ვიცი, არ ვარ მედიკოსი და ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ რას ნიშნავს აღნიშნული ჩანაწერი, ალბათ ყველა ხვდებით. იმასაც ამბობენ, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანამდე „მოსხლეტით წაქცევა“ გაითამაშა, რათა თავისიანებში მღელვარება გამოეწვიაო. თუმცა ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ეს იყო ეპილეფსიური მოვლენა. ეს ადამიანი შიმშილობს თუ არა, ერთი რამ მაინც მტკიცდება, არ არის ჯანმრთელი, არც სისხლი აქვს სუფთა, არც გონება აქვს დალაგებული და სულიც





კაი გვარიანად აქვს დაჭაობებული.

მოკლედო, ჩვენ გლდანის სამკურნალო დაწესებულებაც შევისწავლეთ და დავადგინეთ, რომაო... კლინიკა ამჟამად არის ფორმირების ეტაპზეო, სამედიცინო აპარატურის ნაწილი ახლა გადის ტესტირების რეჟიმსო, სამედიცინო პერსონალის დასაქმება კიდევ დაიწყო 3 კვირის წინო. პაციენტის მდგომარეობის კრიტიკულობიდან გამომდინარე, გირჩევთ, დაუყოვნებლივ გადაიყვანოთ სადმე მრავალფეროვან ჰოსპიტალშიო. სიტყვა „ჰოსპიტალი“ გაეპარათ, რადგან თავიდანვე იცოდნენ, სააკაშვილს სხვაგან არ გადაიყვანდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი კობახიძეც კი ამბობდა, ლომჯარიას მიერ დაკომპლექტებული ჯგუფი სანდო არ იყო, „მოსხლეტით წაქცევის“ შემდეგ ხელისუფლება მაინც დათანხმდა გორში გადაყვანაზე.

გადაიყვანეს. დებილმა ბარამიძემ ეგრევე განაცხადა, მიშამ გაიმარჯვაო. სხვებმაც მიჰბაძეს, ნახეთ, ჩვენი ბელადი 40 მანქანის თანხლებით გააცილესო, ეს კიდევ ერთი გამარჯვებააო. დასცხეს დოლსა და გაწელეს გარმონი „ნაცებმა“, მიშა მაგარიაო.

ამოისუნთქა ნინო ლომჯარიამაც, ფრიად კმაყოფილი დარჩა, რაკიღა შეიტანა დიდი წვლილი ბელადის „გადასახლებაში“. მართალია, მას სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილის საქმეში მესამე მხარედ ჩართვაზე უარი უთხრა, მაგრამ რაღას დაეძებს? მაინც გამარჯვებულია. მე არ ვიცი, არ გამომიცდია... ალბათ ძალიან მაგარია „ნაცობა“, გინდა დამარცხდე, გინდა დაეცე, გინდა წაგაქციონ, გინდა დაგაგორონ, გინდა ყბაში მოგცხონ, გინდა მოცოცხო, გინდა ჩაიფსა, გინდა ჩაიკუკო, მაინც გამარჯვებული ხარ, მაინც მაგარი ხარ.

და ბოლოს... მიხეილის თავს დატრიალებული ტრაგედიის ფინალი ამ ეტაპზე ასეთია (ავტორი მოქალაქე გია გზირიშვილი):

„პუტინს უნდოდა, რომ სააკაშვილი შიმშილით მოეკლა, მაგრამ სააკაშვილი დროზე მიუხვდა და... შეწყვიტა შიმშილი!

სააკაშვილმა ისევ გაიმარჯვა პუწინზე... პუწინმა უკვე მერამდენედ წააგო ომი და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა! მიშა მაგარია“!

აი, ამაშია საქმე, მეგობრებო, პუწინს ომი ფაქტობრივად ნინო ლომჯარიამ მოუგო და ამიტომაც დაიმსახურა თინა ხიდაშელის ქება – მეამაყები, დავო, ნინოვო. ჰმ... მეამაყებიო!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

**P.S. 21 ნოემბრის საღამოს, მიხეილ სააკაშვილის პირადმა ექიმმა, ნიკოლოზ ყიფშიძემ ოფიციალურად განაცხადა, ჩემს ძვირადღირებულ პაციენტს ფსიქოლოგი და ფსიქიატრი სჭირდება, თუ კონსილიუმში მათაც შევიყვანთ, კარგი იქნებაო.**

**ამას ჩვენ როდის ვამბობდით? დიდი ხნის წინათ!**

**მიხეილ სააკაშვილს, მხოლოდ ახლა კი არა, კარგახანია სჭირდება ფსიქიატრი, რომელიც**

**სააკაშვილს ოფიციალურად დაუფიქსირებს შეურაცხადის სტატუსს და მაშინ შეგვიძლია, საზეიმო ვითარებაში გადავცეთ „მგლის ბილეთი“. სხვათა შორის, გორის სამხედრო ჰოსპიტალი, სადაც ამჟამად ყოფილი სარდალი კოტრიალობს, გახლავთ გოგა აბრამიშვილის სახელობისა. როგორც ომის ვეტერანი მალხაზ თოფურია იგონებდა, ეს ის გოგა აბრამიშვილია, რომელიც 2008 წელს მარტო დარჩა ევაკუირებულ ჰოსპიტალში, იქნებ კიდევ ვინმე დაჭრილი მოიყვანონ და ექიმი ხომ უნდა იყოსო?**

**„ასე თქვა და დარჩა... დარჩა სამუდამოდ. რუსულმა ვერტმფრენმა ტყვიამფრქვევის ჯერით გადაჭრა ჰოსპიტლის ეზოში. გოგა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ „მგლის ბილეთით“ იყო გაგდებული ეროვნული გვარდიიდან. ერთად მოგვართვეს ოთხ ნაბრძოლ ადამიანს „მგლის ბილეთი“ სრულიად უმიზეზოდ და უზნეოდ... დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რომ იყოს გოგა, აუცილებლად გულწრფელად უმკურნალებდა მას“.**

**უფალი სამართლიანია, ახლა საითაც არ უნდა წავიდეს სააკაშვილი, ყველგან პასუხი უნდა აგოს, ვინც არ უნდა დაუდგეს თავდებად, გინდა ლომჯარია, გინდა — ნეფხვჯარია, ველარავინ უშველის.**

**დიახ, ჩვენ მზად ვართ, მას მივანიჭოთ „მგლის ბილეთის“ საპატიო კავალერის წოდება!**

# ჯოჯოხეთის მოციქულები



„მარტო წამლის მიღება არ ნიშნავს, რომ თქვენ ავადმყოფს უმკურნალეთ. აქ არის სტრესი, ბევრი პრობლემა. ჩემი აზრი ასეთია. შეიძლება ვინმეს მოეწონოს, ვინმეს არა...დიახ, ვითხოვ, რეაბილიტაციამდე პატიმრობის გადავადებას, რადგან ეს დღეს არ დამთავრდება არავითარ შემთხვევაში... შემომაქვს ასეთი კითხვა, იქნებ გავათავისუფლოთ ეს ადამიანი, იმკურნალოს ნორმალურად“ ეს განცხადება სააკაშვილის ექიმს ნიკოლოზ ყიფშიძეს ეკუთვნის.

რუსთავიდან გლდანში, გლდანიდან გორში მოგზაური მიშა დასტრესილა და მისი ექიმი გადავადებაზე ალაპარაკდა, მისი „გულშემატკივრები“ ვადამდელ არჩევნებზე, კულისებში მაიდანს იხილავენ და აღარც ახსოვთ რამდენი ადამიანი, მორალურად თუ ფიზიკურად შეიწირა მათმა ხროვამ. დაივიწყეთო, ეგ, ადრე მოხდაო, ყველა უბედურების ორგანიზატორი მიშა რა შუაშიაო, არადა თავშია, რადგან მან ყველაფერი იცოდა და სიამოვნებით უყურებდა ვიდეო ჩანაწერებს სადაც პატიმრების უმოწყალო წამება იყო ასახული.

მიშას გონებაშეზღუდული მრევლი ხშირად აპელირებს, რომ ის პრეზიდენტი იყო და განსაკუთრებული პირობებში უნდა მოიხადოს „უდანაშაულოდ“სასჯელი. თუმცა განსაკუთრებულ პირობებს „კანონი პატიმრობის“ შესახებ არ ითვალისწინებს. აქვე გავიხსენებ, უსაფუძვლო ბრალდებით, დაუსაბუთებელი განაჩენით, რა პირობებში იხდიდა სასჯელს პირველი პრეზიდენტის შვილი ცოტნე გამსახურდია. “სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. არ მქონდა ადეკვატური საკვები პროდუქტები, მოსპობილი მქონდა ამანათის საშუალება, მაღაზიით პროდუქტების შეძენის საშუალება, არ მაძლევდნენ წამლებს, მოსპობილი მქონდა ექიმთან კონსულტაციის საშუალება, არ მიტარებდნენ გამოკვლევებს და ადგენდნენ ყალბ აქტებს, თითქოს მე ვამბობდი ამ ყველაფერზე უარს.” წარმოუდგენლად ბევრია, ნაცრეჟიმის პერიოდში დაზარალებული ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ჯოჯოხეთი გამოატარეს და ვინც ცოცხალი გადარჩა, დღესაც არ ეძლევა საშუალება გამოვიდეს იმ უმძიმესი სტრესისგან რაც რეჟიმმა მიხეილის ორგანიზატორობით უხვად მიმოფანტა თითქმის ყველა ოჯახში.

აი როგორ იხსენებს მიშას „ოქროს ხანას“ მაია ჭანიშვილი. „ჯერ, სანდრო გირგვლიანი იყო, ჩემს ხელში გაზრდილი, დედისერთა შვილი. მერე, სერგო თეთრაძე, ჩემი კარის მეზობელი. მიცვალებული იმდენად დასახიჩრებული იყო, რომ ვერ ვიცანით. მერე, ჩემი მეუღლე, კოკა ჯორჯიკია. ციხეში, კარანტინში, ათმა კაცმა, „დუბინკებით” ნეკნები დაუმტვრია და თავი გაუტეხა. ციხეში, ნამდვილ ჯოჯოხეთში მოხვდა, ისეთები ნახა და მოისმინა. მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს, რაც ღამე, ნოტარიუსთან წამიყვანეს და მათთვის სასურველი ობიექტი გადამაფორმებინეს.

და აი ამ „ადამიანებს“, ამ ყველაფრის შემომქმედებს, ხელისუფლებაში დაბრუნება უნდათ!? რბილად რომ ვთქვა, იმ ხალხის მიკვირს, ვინც მათ მხარს უჭერს და კიდევ აქეთ, შეტევაზე გადმოდის. ეს მხოლოდ ჩემი, ერთი ადამიანის, მოკლე ამბავია, რომელიც 2003–2010 წლებს მოიცავს და რამდენს თავისი ტრაგედია აქვს!” არაერთი მსგავსი, უარესი ისტორიებიც გვაქვს მოსმენილი და ნანახი. წლების წინ გავრცელებულ ვიდეო მასალაში, რომელიც სააკაშვილის და მისი ხროვის დადგმულ უნიჭო სპექტაკლს ეგრედწოდებულ „მუხროვანის ამბოხს“ ეხება და შს მინისტრი ორ გვამს ითხოვს, სააკაშვილიც იქვე „კაცობს“ და პოზირებს, ვიდეომასალაში მკაფიოდ ისმის უმოწყალოდ ნაცემი, ჯარისკაცების განწირული ხმა.

საინტერესოა მიშას ექიმების აზრი, ვერაგულად, მისი ხროვის წევრების მიერ მოკლული კრიალაშვილი და მისი დაჭრილი მეგობარი სტრესს არ განიცდიდნენ?. თუ ფიქრობენ, რომ მიშა და მისი ხროვის გარდა ყველა პლასტმასის სხეული და გული აქვთ?...სტრესთან, დაკავშირებით საინტერესო ამბავს გავიხსენებ. ქალთა კოლონიაში სასჯელს იხდიდა ლტოლვილი ქალბატონი სახელად მოკონა, რომელიც გალში ცხოვრობდა და თავის შვილთან ერთად იხდიდა სასჯელს. მისი გადმოცემით გალში მას გარკვეული თანხის სანაცვლოდ ერთი ჩანთა, უაქციზო სიგარეტის ერთი ადგილიდან ბაზრამდე მიტანა ევალებოდა. აი, იქ აღმოჩნდა სწორედ რაღაც ასაფეთქებელი ნივთიერებები და ის თავის უფროს ბიჭთან ერთად დააკავეს. „პარტნიორი“ რა თქმა უნდა მეგის ქარდავას აგენტი გახლდათ. მოკონა, მეგრულის გარდა ვერცერთ ენაზე ვერ მეტველებდა. ცოტა „ჩვენებურად“ლაპარაკი ციხეში დაიწყო. თუმცა ციხეს თარჯიმნები სამეგრელოდან უხვად ყავდა და კომუნიკაცია არ ჭირდა.

2011 წელს მოკონამ მითხრა, რომ გალში დააკავეს მისი მეორე შვილიც, ტერაქტის ბრალდებით, მისთვის ოჯახის ახლობლებიდან ცნობილი გახდა, რომ ის საშინელი ნაცემი იყო და გადმოიყვანეს გლდანის ციხეში და მისი წამება იქაც გრძელდებოდა. დასტრესილი, პატიმარი ქალბატონები შეეცადნენ ადვოკატების დახმარებით გაეგოთ საქმის ვითარება, მაგრამ ოფიციალურად ის გლდანის ციხეში შესახლებული არ იყო და ამიტომ ვერაფერი გავიგეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენთვის მოკონასგან გახდა ცნობილი, რომ ის აიყვანეს დაწესებულების დირექტორთან, (კანონის უხეში დარღვევით) შეახვედრეს თავისი შვილი და ურჩიეს დაერწმუნებინა, რომ ეღიარებინა სასამართლოშიც წამებით მიცემული ყალბი ჩვენება. სამაგიეროდ დაპირდნენ, რომ მოკონას და მის უფროს შვილს გაათავისუფლებდნენ „უდოთი“. ხოლო უმცროს შვილს „კეთილი ბიჭები“თვითონ გადაუხდიდნენ საპროცესო თანხას და მინიმალური სასჯელით მალე გათავისუფლდებოდა. მიშას ხროვას ისე ჭირდებოდა ვითომ ტერაქტების თემა, რომ უდანაშაულოდ დაკავებულ მოკონას და მის შვილებს გალში ბინის ყიდვასაც შეპირდნენ.

აი, უტიფარი ნაცსამართალდამცავები როგორ ავლენდნენ „რუსულ კვალს“. ყველაზე საშინელი მოსასმენი იყო მოკონამ როგორ აღწერა თავის ნაწამები, ნაგვემი შვილი, რომელიც ტირილით, ხროვის თანდასწრებით უყვებოდა როგორ აწამეს და თან გააუპატიურეს და ასე დაჩმორებული დედა რომელმაც ქმარი აფხაზეთში დაკარგა გვიყვებოდა, რომ ეს გარეწრები ბინის ყიდვას შეპირდნენ.

პატიმრები თავზარდაცემულები ვისმენდით აღნიშნულ უტიფრობას. რასაკვირველია ჩვენი საუბარი და გაცოფებული სახეები იქ განლაგებული „სათვალთვალო კამერების“მიღმა არ დარჩენია ადმინისტრაციას და მოკონა სასწრაფოდ სამედიცინო ნაწილიდან „კრიტში“გადაიყვანეს სადაც მოვასწარით და განცხადების ტექსტი შიმშილობასთან დაკავშირებით დავუწერეთ. ადმინისტაციამ სავარაუდოდ „უსტარი აფრინა“დეპარტამენტში და მოკონა მეორე დღეს „უდოთი“გაათავისუფლეს. ეს, იმ დროს როცა პირობით ვადამდე გათავისუფლება სხვა პატიმრებისთვის ფუჭი ოცნება გახლდათ. მას შემდეგ მისი ოჯახის შესახებ არაფერი გამიგია. იმედი ჰქონდა, რომ ისევ შვილებთან ერთად იცხოვრებდა. არც ის ვიცი, ნაცგარეწრებმა შეუძინეს თუ არა შეპირებული ბინა...

უმძიმეს ონკოავადმყოფებს გადავადებაზე ოცნებაც აკრძალული ჰქონდათ და ახლობლების სითბოს გარეშე ციხის ცივ კედლებში, ასობით პატიმარმა დალია სული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მათი უმრავლესობა სიკვდილის წინ განსაკუთრებული პატივით, სააკაშვილს და მის მოდგმას წყევლიდა. (ალბათ მიშას წყევლამ უწია და დაისტრესა).

საოცარ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ წნეხს გადიოდნენ პატიმრები და მათი ოჯახის წევრებიც. იმედი აღარც ბჟუტავდა და ღმერთის იმედიც ნაკლებათ ჰქონდათ სატანის მარწუხებში მოქცეულებს. უსასრულო იყო ტანჯვა და სწორედ ამიტომაც, არაერთმა პატიმარმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით. დღეს ბედავენ და ნაცნაძირლები წარსულს უწოდებენ მოუშუშებელ იარებს რომლის დავიწყების საშუალებასაც არ აძლევენ ტანჯვა-წამება გამოვლილ ყოფილ პატიმრებს. სამწუხაროდ, სახელმწიფომ არ იზრუნა ნაცგულაგებ გამოვლილი პატიმრების რეაბილიტაციაზე. თუნდაც მხოლოდ არასრულწლოვნების, რომლებმაც გარდატეხის ასაკში იმდენი ტანჯვა, წამება გამოიარეს და იმდენი ბოროტება ნახეს, რომ მათი სულის იარებს ვეღარაფერი განკურნავს.

ეხლა ის ახალგაზრდები 30–32 წლისები არიან და მცირედმა თუ შეძლო საზოგადოებაში დამკვიდრება. დიდმა ნაწილმა საქართველო დიდი ხანია დატოვა და ნურავის გაუკვირდება, რომ სწორედ ისინი ჩამოყალიბდნენ უსასტიკეს კრიმინალებად რომლებიც ოდესღაც ნაცლიდერებს თუ არა მათ შთამომავლობს მწარედ გაუსწორდება და აზღვევინებს ბავშვობის, ახალგაზრდობის, მომავლის წართმევას.

ამ ბავშვების მშობლებმა კი დაკარგეს შვილები. მათი სისხლიანი რეჟიმი, რა ტანჯვით გამოიარეს ნაცხროვა ოდესმე დაინტერესებულა?აღარაფერს ვამბობ ქალებზე რომლის დიდი უმრავლესობა უდანაშაულოდ იხდიდა სასჯელს. არაერთი პატიმარი ქალი სწორედ უყურადღებობით, გულის შეტევით და სხვა დაავადებებით გარდაიცვალა. სტრესული გახლდათ მიშასდროინდელი სასჯელის შეკრება, ქალებს 30 წელიც ჰქონდათ მისჯილი.

რაც შეეხება მამაკაცებს იქ ჯოჯოხეთი იყო დედამიწაზე. ან, ბადრაგები სასამართლოზე როგორ ექცეოდნენ პატიმრებს, ცემდნენ, ამცირებდნენ. ციხე კოლონიის ტერიტორიაზე წარმოუდგენელ დღეში აგდებდნენ. სუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. ტერორი გახლდათ მათი სავიზიტო ბარათი და გზამკვლევიც. სასურველი ჩვენების მისაღებად ყველაფერს კადრულობდნენ. მიხეილის სასათბურე პირობებში, საექიმო ექიმების გარემოცვაში ყოფნა, სტრესია რეჟიმგამოვლილებისთვის, როგორც მისი დასავლელი, კორუმპირებული მეგობრები ამბობენ აღმაშფოთებელია მისი მოთხოვნებიც, რომელსაც მისი გარემოცვა აჟღერებს და ასევე მათი დიდი სურვილი, ჩვენს ქვეყანაში სისხლი დაიღვაროს რის შედეგადაც, ახდეს მათი ოცნება და ნაცტურების ხროვა ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. იმას არ ფიქრობენ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ხელისუფლებასაც აღარ გაუწევს ანგარიშს გამწარებული ხალხი და ნაცგარეწრებს დედაბუდიანად ამოჟუჟავენ...

დაბოლოს სატანის დედას და მის შვილს შევახსენებ კიდევ ერთ მაგალითს იმ სერიიდან დასტრესილმა „მიშამ არაფერი იცოდა“. სულხან მოლაშვილი ამბობდა „ დირექტივა სააკაშვილისაგან მოდიოდა! ჩემი წამების მიზანი რა იყო? უნდა დამეწერა ორად-ორი წინადადება, რომ თითქოს მე, როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ედუარდ შევარდნაძის დავალებით ვახორციელებდი მაშინდელი ოპოზიციის — სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკურ დევნას! იმხანად, კონტროლის პალატის მიერ შედგენილი აუდიტორული დასკვნების ნაწილი უკვე გამოქვეყნებული იყო, ნაწილი კი, გამოსაქვეყნებლად გახლდათ გამზადებული. ახალი დამთავრებული გვქონდა თბილისის საკრებულოს შემოწმება, რომელსაც სააკაშვილი თავკაცობდა და თანხებს „უპრაგონოდ” ხარჯავდა! ასევე ახალი დამთავრებული გვქონდა იუსტიციის სამინისტროს შემოწმება, სადაც ნათლად გამოიკვეთა სააკაშვილისა და ოქრუაშვილის მიერ წარმოებული დანაშაულებრივი ფინანსური პოლიტიკა!“

რეჟიმი არ გასამართლდა. მთავარი დამნაშავეები არ დასჯილან. პროკურატურაში და სასამართლოში თბილ სავარძლებში სხედან „ადეიშვილის ბიჭები და გოგონები“. ნაცმოძრაობა არ თუ ვერ აიკრძალა და სწორედ ამიტომაც ხდება რაც ხდება...

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა დებულება, რომელიც წინასწარი შეცნობით, უკანონო განაჩენის გამოტანისათვის, მოსამართლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა! სააკაშვილის ხელისუფლებამ კოდექსიდან ეს მუხლი ამოიღო, რითაც ყურმოჭრილ მონა-მოსამართლეებს ხელშეუხებლობის გარანტია შეუქმნა!..

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# დემოკრატია მოკვდა! ის პოლონეთის საზღვართან დაასაფლავეს






„შემთხვევითი ომის დაწყების საფრთხემ მსოფლიოში უმაღლეს ნიშნულს მიაღწია“, — რამდენჯერმე გაისმა გასულ კვირას. მსგავსი პესიმისტური განცხადება გააკეთეს როგორც პოლიტოლოგებმა, ასევე მაღალჩინოსანმა სამხედროებმა. მათ შორის გახლავთ ამერიკელი გენერალი ჰემ კარტერი. გერმანელი პოლიტოლოგის ალექსანდრ რარის შეფასებით: „ევროპაში და მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში ჰიბრიდული ომის პროცესი უკვე დაწყებულია“. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პოლიტოლოგებს პესიმიზმის საფუძველი ნამდვილად აქვთ. ორი კვირის წინ საგანგებო საგანგაშო ვითარება შეიქმნა ბელორუს-პოლონეთის საზღვარზე, როდესაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ბელორუსში ტურისტული ვიზებით ჩასულებმა უარი თქვეს სამშობლოში დაბრუნებაზე და გერმანიაში გადასვლა მოისურვეს.

აზიელ მიგრანტებს წინ პოლონელი მესაზღვრეები აღუდგნენ. პოლონეთის პრეზიდენტის ანჯეი დუდას ბრძანებით, საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად სამხედრო მოსამსახურეები თავიანთი მძიმე ტექნიკით მიავლინეს. უცნაურია, მაგრამ პოლონელებმა ბელორუსის საზღვარზე ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარებიც კი მიიტანეს. ვერავინ გაიგო, რისთვის სჭირდებოდათ პოლონელებს ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები, მიგრანტებს არავითარი საფრენი აპარატები არ ჰქონდათ. პოლონეთმა ბელორუსის საზღვარზე გაავლო მავთულხლართების მაღალი, 5 მ სიმაღლის ღობე. ფაქტობრივად, კედელი აღმართეს. სამწუხაროდ, ქვეყნებს შორის კედლების აღმართვა ბოლო წლებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მექსიკის საზღვარზე ააგო კედელი, უკრაინამ — რუსეთის, ლიტვამ — ბელორუსის... გასულ საუკუნეში „ცივი ომის“ პერიოდში მხოლოდ ერთი, ბერლინის კედელი იყო, რომელიც ორ სისტემას ჰყოფდა. მისი დანგრევის შემდეგ, 32 წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამყაროში 21-ე საუკუნეში კვლავ დაიწყებოდა კედლების აღმართვა ქვეყნებს შორის.

საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევად შეაფასა პოლიტიკოსების ნაწილმა პოლონეთის მოქმედება ბელორუსის საზღვარზე. გასულ კვირას თავიანთი ტერიტორიიდან ბელორუსში, საზღვართან დაბანაკებული მიგრანტების მიმართულებით ერთბაშად 4 მანქანიდან მიუშვეს წყლის ჭავლი, გაუშვეს ცრემლსადენი გაზი, ისროდნენ ხმოვან ჭურვებს. ბელორუსის მხარის მტკიცებით, წყალი, რომელიც მიგრანტებს მიასხეს, ქიმიური ნივთიერებით იყო გაზავებული. დაშავდა 30-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, ჟურნალისტები, ქალები, ბავშვები, რომლებიც ბევრია მიგრანტთა ბანაკში. საბედნიეროდ. ბელორუსი მესაზღვრეები პოლონელების პროვოკაციას არ წამოეგენ. მომხდარ ინციდენტზე ბელორუსელებმა აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია **BBC**-ის სადაც ემოციურად ესაუბრა ჟურნალისტს. მისი თქმით,





უცხოელებმა (თუმცა არ დაუკონკრეტებია) წააქეზეს მიგრანტები, ევროკავშირში ბელორუსის გავლით შეეღწიათ. „...პოლონეთმა, ფაქტობრივად, დაარღვია სუვერენული ქვეყნის საზღვრები, რაც ყოვლად დაუშვებელია. მათ ქმედებას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა“, — განაცხადა ლუკაშენკომ. ბელორუსები პოლონეთისგან ახსნა-განმარტყებას ითხოვენ და ელოდებიან.

გასულ კვირას, საზღვარზე მომხდარ ინციდენტამდე და შემდეგაც, ლუკაშენკო ტელეფონით ორჯერ ესაუბრა გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს. ბელორუსების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მერკელი თავდაპირველად შეჰპირდა ლუკაშენკოს, რომ მიგრანტებს გაუხსნიდა ევროკავშირისკენ ჰუმანიტარულ დერეფანს, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა. ბალტიისპირელმა პოლიტიკოსებმა სასტიკად გააკრიტიკეს მერკელი დიქტატორთან მოლაპარაკების გამო.

პოლონეთის ქმედებაზე ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები არაფერს ამბობენ. უფრო მეტიც, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პოლონელ კოლეგას ანჯეი დუდას ტელეფონით საუბრისას მხარდაჭერა გამოუცხადა და გაამართლა კიდეც. პოლონელების მოქმედება — ასევე გაამართლა ძალის გამოყენება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ჟოზეფ ბარელიმ. აღსანიშნავია ერთი გარემოება — იტალიაში ასამართლებენ ქვეყნის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს მატეო სალვინის იმის გამო, რომ ქვეყნის პორტებში არ შეუშვა გემები, რომლებზეც მიგრანტები იმყოფებოდნენ. წყლის ჭავლზე, ცრემლსადენ გაზზე ან რაიმე ძალისმიერ მეთოდებზე ლაპარაკი ზედმეტია. სალვინის 15 წლამდე პატიმრობა ელოდება, დუდას კი ამართლებენ ისინი, ვინც იტალიის შს მინისტრის გასამართლებას ითხოვდა. როგორც ჩანს, მართლები არიან ის პოლიტოლოგები, რომლებიც მტკიცებით ფორმაში აცხადებენ: მსოფლიოში დემოკრატია აღარ არსებობსო.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ვერ შეძლო საერთაშორისო ფორუმებზე ჩინეთის მმართველთან სი ძინპინთან შეხვედრა. გასულ კვირას გაიმართა ორი დიდი ქვეყნის ლიდერის დიალოგი.

ვირტუალური შეხვედრა სამსაათ-ნახევარს გაგრძელდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბევრი საკითხი განიხილეს. ჯო ბაიდენმა ტაივანი ჩინეთის ტერიტორიად აღიარა. თუმცა ცოტა ხნის წინ ტაივანელებს ჰპირდებოდა ყოველმხრივ დახმარებას. სხვა რა გადაწყვეტილებები მიიღეს, უცნობია. ამერიკელი პოლიტოლოგების შეფასებით, შეხვედრას რაიმე კადრინალური გარღვევა არ მოჰყვება ორ ქვეყანას შორის, მაგრამ პირველი ნაბიჯი დადებითად წაადგება მომავალ ურთიერთთანამშრომლობას. იქვე აღნიშნავენ, რომ ახლო წარსულსი აშშ კარნახობდა მსოფლიოს, როგორი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა, ახლა ინიციატივა ჩინეთის მხარესაა.



ჯო ბაიდენისა და სი ძინპინის შეხვედრის მეორე დღეს, გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ გაავრცელა ინფორმაცია: თეთრი სახლის ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს, პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს (რომელიც 2022 წლის თებერვლის დასაწყისში გაიმართება) პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადოს.

სენსაციად აღიქვეს მსოფლიოს პოლიტიკოსებმა ჰოსპიტალში ჯო ბაიდენის გადაყვანა. პროდეცურას ანესთეზიური ჩარევა სჭირდებოდა, ამიტომ უფლებამოსილება დროებით ვიცე-პრეზიდენტს კამალა ჰარისს გადასცა.

ჰარისი აშშ-ის ისტორიაში პირველი ქალია, ისიც აფრო-ამერიკული წარმოშობისა, რომელმაც პრეზიდენტის მოვალეობა თუნდაც ორი საათით შეასრულა. ჰოსპიტალიდან გამოსულმა ჯო ბაიდენმა თანაპარტიელებს განუცხადა, რომ მეორე ვადითაც აპირებს პრეზიდენტობას!

ერთი წელი შესრულდა, რაც ყარაბაღში შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის. გასულ კვირას ჩვენს სამეზობლოში კვლავ დაიძაბა ვიღარება, ამჯერად უკვე უშუალოდ ჩვენი ორი მეზობელი ქვეყნის საზღვარზე. ამიერკავკასია ფართომასშტაბიანი ომის ზღვარზე იმყოფებოდა. ტრადიციულად, პროვოკაციის მოწყობაში სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ადანაშაულებენ. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ტელეფონით ესაუბრა ორივე ქვეყნის კოლეგებს და ვითარება განიმუხტა.

გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა გაფართოებულ კოლეგიაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თავის გამოსვლაში თქვა: „...ბევრს ვსაუბრობთ წითელ ხაზებზე, რასაც ჩვენი პარტნიორები ზედაპირულად უყურებენ. იგნორირებენ ჩვენს შეშფოთებას ნატოს გაფართოებაზე... თუ ნატოს ალიანსს არ სურს ჩვენთან თანამშრომლობა, არც ჩვენ გვინდა. თუმცა უნდა მივაღწიოთ პარტნიორებთან გრძელვადიან გარანტიებს სამყაროში მშვიდობისთვის. როგორი რთულიც უნდა იყოს, აუცილებელია, გავაგრძელოთ ამ საკითხზე დიპლომატიური მუშაობა“. ორი დღის წინ რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა გაავრცელა ინფორმაცია: ჯო ბაიდენისა და ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრა ამ წლის ბოლომდე გაიმართება. თუმცა ზუსტი თარიღი არ დაუსახელებლა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# სწავლების ასეთ ფორმაზე გადასვლა თუ მოახერხეს, საქართველოში ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას მოსპობენ



**რა საფრთხე ემუქრება ქიმიის და ზოგადად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებას საქართველოში, ამაზე „საერთო გაზეთს“ ქიმიის მასწავლებელთა ასოციაციის თავმჯდომარე და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი ლელა მეტრეველი ესაუბრა:**

— დავიწყებ იმით, რომ 2018 წლის მარტში ხმა გავრცელდა, ქიმიის სწავლება, მე-7 კლასის ნაცვლად, მე- 8 კლასიდან იგეგმებაო. თავიდან არ დავიჯერე, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ქიმიას მე-7 კლასი ანუ წლიური 70 საათი ჩამოაცილეს და ფიზიკას დაუმატეს. შედეგად, ქიმიის მე-7 და მე-8 კლასის მასალა მე-8 კლასის სტანდარტში აღმოჩნდა. ამან გამოიწვია მე-8 კლასში გასავლელი საკითხების მოცულობის გაზრდა და დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა წლიური პროგრამით გათვალისწინებულ მასალას ბოლომდე ვერ გადის. ამავე დროს, მე-8 და მე-9 კლასის, ანუ საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოები ისე დაიწერა, რომ ავტორები არ იცნობდნენ საშუალო საფეხურის სტანდარტს. ეს უკანასკნელი ფაქტი არა მარტო ქიმიას, არამედ ყველა სხვა საგანსაც ეხება. მხოლოდ მიმდინარე წლის 11–12 ოქტომბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის საშუალო საფეხურის სტანდარტების პროექტების განხილვის მიზნით, რომელსაც მეც ვესწრებოდი. დამსწრეთა განსაკუთრებული ვნებათაღელვა სკოლის საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტის პროექტმა გამოიწვია, რომელშიც ინტეგრირებულია ოთხი უმნიშვნელოვანესი საბუნებისმეტყველო საგანი: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკური გეოგრაფია. პროექტი შეხვედრაზე მოწვეულ არც ერთ ქიმიკოსს არ მოუწონებია.

**— კერძოდ, რა არ მოგეწონათ?**

— ჩვენი არგუმენტები იყო: 1) საქართველოში არ არიან მასწავლებლები, რომლებიც შეძლებენ გაერთიანებული ოთხი საგნის სწავლებას; დაპირება, რომ მათ გადაამზადებენ, ან მომავალში მოამზადებენ ასეთ კადრებს, არარეალურად მეჩვენება, რადგან ამ სფეროში თითო საგნის კვალიფიციური სპეციალისტების მოძებნაც კი ჭირს. 2) არ მოიძებნებიან აგრეთვე ავტორები, რომლებიც გაუმკლავდებიან ინტეგრირებული კურსის შექმნას. თუ გაერთიანდება ცალკეული საგნების ოთხი (ან მეტი) სხვადასხვა სპეციალისტი, შედეგი ინტეგრირებული კურსი კი არ იქნება, არამედ ცალკეული საგნების მექანიკური ნარევი. 3) რაც მთავარია, ზემოხსენებული ინტეგრირებული კურსი არაფერს მოუტანს მოსწავლეებს. ამით მათი საგნობრივი ცოდნა არ გაღრმავდება და ისიც დაავიწყდებათ, რას შეისწავლის ცალ-ცალკე ეს ოთხი დისციპლინა. არც ის არის გამორიცხული, რომ მოსწავლეს, რომელმაც აირჩია სავალდებულო ინტეგრირებული კურსი, რაღაც ეტაპზე მოუნდეს რომელიმე ერთი ან რამდენიმე საგნის გაძლიერებული შესწავლა. ამ შემთხვევაში, როგორც გვითხრეს, ის უნდა დაეწიოს პროგრამას. ეს ადვილი სათქმელია, მაგრამ ძნელი განსახორციელებელი. 4) როგორც შეხვედრებზე განმარტეს, საშუალო საფეხურზე ამგვარი ინტეგრირების პრაქტიკა მსოფლიოში არ არსებობს და პირველად ჩვენ ვნერგავთ. თანაც, ლაპარაკია საკმაოდ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდზე, რომლის გავლის შემდეგ ჩვენს მუდმივად რეფორმირებად განათლების სისტემაში, არავინ იცის, რა იქნება. მერე ვინმე მოვა და იტყვის, რომ ესეც არ ვარგოდა და ახლა ახალი რეფორმა უნდა დავიწყოთ.

**— იქნებ ორიოდე სიტყვა ახალი სტანდარტის ავტორებზე და მათ არგუმენტებზეც გვითხრათ.**

— არსებობს ე.წ. ზოგადი განათლების რეფორმების ჯგუფი, რომელიც ასეთ სტანდარტებზე მუშაობს. ზემოხსენებულ შეხვედრაზე ეს სტანდარტი ბატონმა გიორგი ლომიძემ წარმოგვიდგინა, რომელიც ახლა ფიზიკის ექსპერტად დანიშნეს, თუმცა როგორც ვიცი, ჯერჯერობით მაგისტრატურაც არ აქვს დამთავრებული. ჩვენი უარყოფითი შეფასების მიუხედავად სამინისტრომ გამომცემლობებს ისევ ინტეგრირებული–სტანდარტი შესთავაზა და მის კონცეფციაზე კონკურსის გამოცხადებასაც აპირებს. რაც შეეხება მათ არგუმენტებს, თურმე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და მეცნიერ-ქიმიკოსებს არაფერი გვეკითხება და ყველაფერი სასერტიფიკაციო გამოცდებზე ორ-სამჯერ ჩაჭრილი და შემდეგ გარკვეული აქტივობებით სტატუსმიღებული მასწავლებლების გადასაწყვეტია, რომლებიც რეფორმების ჯგუფში რაღაც უცნაური გზით აღმოჩნდნენ. ძალიან აღმაშფოთებელი სიტუაციაა, მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ ყოველი ასეთი რეფორმის შემდეგ განათლების ხარისხი იკლებს, რასაც ყველა ერთად ვხედავთ. ასეთი ინტეგრაცია დედამიწის ზურგზე არსად არსებობს და პირველად ჩვენმა განათლების სამინისტრომ მოიგონა. სადმე გეგულებათ ადამიანი, რომელიც ერთდროულად იქნება ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის და ბიოლოგიის სპეციალისტი?

მორიგი რეფორმის პანაცეად გამოცხადებას უკვე ბევრჯერ შევესწარი, თუმცა ჩავარდნილ რეფორმებზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს. ყველა ამ რეფორმის შედეგი ისაა, რომ საერთაშორისო კვლევებით ბუნებისმეტყველებაში ბოლოდან მეექვსე ადგილზე ვართ და ეს შედეგები, 2015 წელთან შედარებით, გაუარესებულია.

**— რადგან სიტყვა სახელმძღვანელოებზე ჩამოვარდა, იქნებ გვიამბოთ, ამ მიმართულებით რა ხდება?**

— მე გამომცემლობა „დიოგენეს“ რედაქტორი ვიყავი და 2010 წლიდან სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესს ვაკვირდები. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არსებობს სახელმძღვანელოების დიდი მაფია (ამბობენ, რომ ის სამინისტროს გარეთაა!), რომელიც „ზრუნავს“ გრიფების მიკერძოებულად მინიჭებაზე. პირადად მე-8 და მე-9 კლასების სახელმძღვანელოების ავტორი ვარ, რომლებსაც გრიფი სრულიად უკანონოდ და წინასწარგანზრახულად არ მიანიჭეს და ამაზე სარჩელიც მაქვს სასამართლოში შეტანილი. ყველა ჩამოგვიცილეს გზიდან და ქიმიის ერთადერთი სახელმძღვანელო დატოვეს, როდესაც, მაგალითად, ფიზიკაში მე-8 კლასში 5 სახელმძღვანელოა გრიფირებული. ამ ხერხით, ფაქტობრივად, ბაზარი სრულად დაიკავეს და მთელი წლის განმავლობაში, როგორც უნდოდათ, ისე ადებდნენ ფასებს წიგნებს.

სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხზე პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარესაც და ახალსაც შევხვდი. სწორედ ეს



უკანასკნელი, ბატონი შალვა პაპუაშვილი დამპირდა, გრიფირების საკითხებს საკომიტეტო მოსმენაზე გავიტანთო, მაგრამ დღემდე არაფერი არ ჩანს. სამწუხაროდ, ყველა გადართულია პოლიტიკაზე და ამას მოსწავლეთა ინტერესები ეწირება. ზოგადად, სასწავლო დისციპლინებისა და მეცნიერების მიმართ ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია. თანამედროვე მსოფლიოში ესმით, რომ ქიმიის სწავლების დონის ამაღლება, რასაც ჩვენთან ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, აუცილებელია არა მარტო ქიმიკოსებისთვის, არამედ ექიმებისთვის, ბიოლოგებისთვის, ტექნოლოგებისთვის და ა.შ. ჩვენ ირგვლივ არსებული მატერიალური სამყარო ნივთიერებებისაგან შედგება. აქედან გამომდინარე, არც ერთი სფერო არ არსებობს, სადაც ქიმიის ცოდნა აუცილებელი არ არის. კოვიდი რომ გავრცელდა, ხომ დაგვჭირდა ქიმია, ქიმიკოსები და ბიოლოგები? სწავლების ინტეგრირებულ ფორმაზე გადასვლა თუ მოახერხეს, საქართველოში საერთოდ მოსპობენ ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. არ შეიძლება ასე.

**— გამოსავალს რაში ხედავთ? რას სთავაზობთ სამინისტროს დაწუნებული სტანდარტების სანაცვლოდ?**

— თავს შევიკავებ ინტეგრირებული სტანდარტის შინაარსობრივ მხარეზე მსჯელობისაგან. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მისაღები მგონია, არსებობდეს ქიმიის ორი დონის სახელმძღვანელო: ერთი, შედარებით მსუბუქი, ზოგადი განათლებისათვის და მეორე, გაძლიერებული, ამ საგნით განსაკუთრებით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის.

ამ ფონზე მისაღებად მიმაჩნია წინადადება, რაზედაც შევთანხმდით სამინისტროს ქიმიის ექსპერტებთან (ისევ რეფორმების ჯგუფისათვის მიწოდების მიზნით): დაე, უნივერსიტეტებმა სკოლებს თვითონვე დაუკვეთონ, რა საბაზისო ცოდნის მქონე სტუდენტები სჭირდებათ. ასე მივიღებთ არსებული გარემოების შესაფერ გაძლიერებულ სახელმძღვანელოს. თანაც, არა მხოლოდ ქიმიაში, არამედ ყველა სხვა საგანშიც.



**და ბოლოს, ქიმიის მასწავლებელთა ასოციაციის პოზიციას სრულად იზიარებს და ეთანხმება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელმაც ანალოგიური წინადადებებით საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გამოცდების ეროვნულ ცენტრს და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს მიმართა. რით დასრულდება ქიმიის სწავლებისა და მისი ახალი სტანდარტის გარშემო დაწყებული ვნებათაღელვა და როგორი იქნება პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის პოზიცია, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ჩვენ თვალს მივადევნებთ მოვლენებს და შედეგების შესახებ ჩვენს მკითხველს ვამცნობთ.**

ნელი თორდია
571 35 36 88

# რა ენა წახდეს...



16 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მეცნიერებმა მთავარ ეროვნულ საკითხზე — სახელმწიფო ენის მწვავე პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. შეხვედრას მწერალი, აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე** უძღვებოდა. როგორც მან აღნიშნა: ამ თემაზე სასაუბროდ ადრეც უნდა შეკრებილიყვნენ, თუმცა, კოვიდ-პანდემიით შექმნილი პრობლემების გამო, შეხვედრა გადაიდო. მეტის მოთმენა კი უკვე აღარ შეიძლება. აკადემიკოსის თქმით: ქართველი ერის გადარჩენის გასაღები ილიას ცნობილ ტრიადაშია — ენა, მამული, სარწმუნოება. დღეს რა ხდება? — პოსტლიბერალიზმი ყოველგვარ ეროვნულს ანადგურებს. მათი სურვილი, სწორედ, ქართველი ერის მოსპობაა. მამული, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს, ებრძვიან რწმენას, დაგვრჩა ენა და მასაც საფრთხე ემუქრება. ბატონი ელიზბარი აღშფოთებას ვერ მალავს, რადგან ზოგ უნივერსიტეტში, მაგალითად, „ილიაუნში“,



რომელიც, მისი თქმით, ანტიეროვნულობის ბუდეა, ჩვენს რწმენას მასხრად იგდებენ. სახელმწიფო უნივერსიტეტში კი სტუდენტებს, თუ ინგლისური არ იციან, დიპლომს არ აძლევენ.

შეხვედრაზე ძალზედ საინტერესო მოხსენებით წარსდგა ფილოლოგი, პროფესორი **ავთანდილ არაბული**:

— საუბარს მეც ცნობილი ტრიადიდან გავაგრძელებ. ილიასთვის უმნიშვნელოვანესია ამ ფასეულობათა დაცვის ამოცანა: „თუ ამათაც (მამულს, ენასა და სარწმუნოებას) ვერ ვუპატრონეთ, რაღა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობასო“. ილიას თაობა ხომ სრულიად ახალ კულტურულ, ინტელექტუალურ საქართველოს ქმნის, მაგრამ საკუთარ მოვალეობად სახავს ისტორიული მემკვიდრეობის „პატრონობას“. ეს პირობები შესაბამისი დროის სიავე-სიკეთეს მოაქვს; ჩვენი ქვეყნის წარსული არცთუ იშვიათად უპირატესად სახავს არა ახლის შექმნის, არამედ არსებულის შენარჩუნებისა და დაცვის საკითხს. ჩვენს ისტორიაში იყო რუსთაველის ეპოქაც, როცა მემკვიდრეობის გადარჩენის ამოცანა ობიექტურად არა ჩანს წინა პლანზე წამოწეული. თუმცა, იყო ძნელბედობის ჟამიც, მაგალითისთვის გრიგოლ ხანძთელის ეპოქაც იკმარებს, როდესაც მისი ბიოგრაფი სასიცოცხლო ამოცანად სახავს, რომ არ დაანებონ წინაპართა ნამოღვაწარი „აღუწერლობის“ მსახვრალ ხელს.



დღევანდელ დღეს კიდევ ერთხელ დგას ჩვენი ქვეყანა წარსულის მემკვიდრეობის შესაფერისი „პატრონობის“ მწვავე ვალდებულების წინაშე. დღეს გლობალიზაციამ სრულიად ახალი რეალობა შექმნა. დიდი მეცნიერის ალექსანდრე ჯანელიძის პირუთვნელ სიტყვებს გაგახსენებთ: ეროვნული ენა მცირერიცხოვანი ერისთვის ძალიან მძიმე ტვირთია! რატომ? მას მცირე მომხმარებელი ჰყავს; პროდუქცია, რაც ამ ენაზე იქმნება, ფართოდ გავრცელებული არ არის. აშკარაა, რომ ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა წიგნი და მწიგნობარი განზე გარიყა. საზოგადოებამ აშკარად შეიცვალა ტრადიციული ფასეულობითი ორიენტირები. ხელისუფლებაც, ცხადია, ანგარიშს საზოგადოებრივ განწყობას უწევს. ფაქტები მეტყველია: 1986 წელს (და დამატებით 3 წლის შემდეგ) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული 100-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა. წიგნი ძნელად საშოვნი გახლდათ, რადგან ყველას სჭირდებოდა. ახლა კი განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის ტირაჟი 500 ცალია და ნახევარზე მეტი ისევ ენათმეცნიერების ინსტიტუტში დევს. საზოგადოებრივი მოთხოვნა აღარ არის. ადრე, ენის ფაქტორი ერის არსებობისთვის აუცილებელი იყო. თუმცა, ენა შეიძლება ერის არსებობის გარეშეც გადარჩეს. ებრაელებმა ტერიტორიაც დაკარგეს და ენაც, მაგრამ რელიგიაში შესახლდნენ, თავისი მრწამსი მკაცრად დაიცვეს და იდენტობა შეინარჩუნეს. ასევე, ემიგრირებული სომხები ენას ხშირად კარგავენ, მაგრამ ეროვნულობას — არასდროს. ქართველი კი თუ ენას დაკარგავს, კარგავს ეროვნულობასაც. ეს ჩვენი ისტორიის თავისთავადობამ განაპირობა — სახელმწიფოებრიობა მუდმივად დარტყმის ქვეშ იყო და ქართველმა ერმა იდენტობის სახლად ეროვნული ენა აირჩია. ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობაც იმთავითვე ამას დაუკავშირდა. ფარნავაზმა ერთიანი ეროვნული ენა შემოიღო, რითაც ქართველური ტომები გააერთიანა.

80-იანი წლების ბოლოს, ეროვნული ბრძოლის გაძლიერებისდა კვალად, სახელმწიფო ენების დასაცავად აქტიური მოძრაობა დაიწყო. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა 1989–90 წლებში სახელმწიფო ენის შესახებ კანონები მიიღეს. აღნიშნულისთვის ჩვენც ვემზადებოდით, მაგრამ ქართულ სახელმწიფოებრიობას საბედისწერო წინააღმდეგობები შეხვდა და ეს პროცესიც ჩაიშალა. 1994–95 წლებში კვლავ განახლდა მუშაობა სახელმწიფო ენის კანონის პროექტზე, თუმცა ეს საკითხი პარლამენტამდე ვერ მივიდა. 2001 წელს პროექტი უკვე სრულად იყო მზად პარლამენტში განხილვისათვის, მაგრამ მოულოდნელად ისევ გადაულახავი წინააღმდეგობები წარმოიშვა. ამასობაში მოვიდა 2003 წელი და ახალმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ სახელმწიფო ენის კანონის განხილვა დღის წესრიგიდან საერთოდ მოხსნა. აღნიშნული პროექტი, რომელიც მაშინ იყო პარლამენტში წარდგენილი, არქივშიც კი აღარ იძებნება. მეტსაც გეტყვით: „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებამ ენის სახელმწიფო პალატაც გააუქმა და ამ ფუნქციის ყველა სხვა სტრუქტურაც მოსპო და ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ სახელმწიფო ენის სტატუსს მიაყენა. სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საათები შემცირდა. უნივერსიტეტებში თითქმის მთლიანად გამოირიცხა ქართული ენის პრაქტიკული კურსები...

2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ სახელმწიფო ენის კანონმა მხარდაჭერა მიიღო. ღარიბაშვილი კანონის მიღებას მიესალმებოდა, თუმცა იმ დროს კოალიციური პარლამენტი იყო და ცალკეული პარტიები არცთუ სასიკეთოდ იყვნენ განწყობილი. მთავარი ოპოზიცია და არასამთავრობო სტრუქტურები კანონის მიღებას კვლავ სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ.

მოგეხსენებათ, გლობალიზაციის, ინფორმაციული რევოლუციის ეპოქაში ვიმყოფებით და მცირერიცხოვანი ერების მთავარი ამოცანაა ისტორიული ფასეულობების დაცვა და იდენტობას შენარჩუნება. განათლების სისტემაში მეტი აქტიურობაა საჭირო. სახელმწიფო ენის დამკვიდრების კუთხით მეტი უნდა გაკეთდეს.

სახელმწიფო ენა დაკნინებულია. ენის სიწმინდის დარღვევას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი!..

მთავარი მომხსენებლის შემდეგ მოსაზრებები დამსწრე სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმაც გაგვიზიარეს:

**როინ მეტრეველი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი: ქვეყანაში კატასტროფა ხდება, ქართული ენა ნორმალურად არსად აღარ ისმის — არც ტელევიზიებში, არც უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ. საგანგაშო ვითარებაა — ჩვენ ვკარგავთ ენას! ზოგ სკოლებში ქართული ენა და საქართველოს ისტორია არ ისწავლება. 60-იან წლებში, წიგნებზე მოთხოვნის თვალსაზრისით, ბუმი იყო. მეტიც, წიგნების შოვნა ჭირდა. 2004 წელს ახალმოსულმა ხელი-



სუფლებამ განათლება, მეცნიერება სრულიად დაანგრია. 1986 წელს პუშკინის სახელობის ინსტიტუტში მივედი, სადაც საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა. ამ საგნის სწავლება ყველა ფაკულტეტზე შემოვიღეთ და კაბინეტიც გავხსენით. ვერაფრით დავიჯერებ, რომ მთავრობის განკარგულებაა ის, რომ სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდეს. ასეთი ადამიანი საქართველოს მტერია. სააკაშვილის ხელისუფლების დროს უნივერსიტეტში 22 ფაკულტეტიდან მხოლოდ 6 დატოვეს, 1500 მეცნიერ-მუშაკი გაათავისუფლეს. ამის ხელახლა აშენებას 30 წელი მაინც დასჭირდება.

**რამაზ ხეცურიანი**, აკადემიკოსი: თქვენს ყურადღებას ერთ პრობლემაზე გავამახვილებ: 1993 წლიდან სასწავლო გეგმების დამტკიცებას ვითხოვთ, მაგრამ უშედეგოდ. უმაღლეს სასწავლებელთა მხოლოდ 2%-ში არის სასწავლო გეგმა დამტკიცებული. სამედიცინო უნივერსიტეტებში თერაპია, ეპიდემიოლოგია არ ისწავლება. ეს დაუშვებელია. სასწავლო გეგ-





მაში რომ შეიტან ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და ა.შ. სწავლებას, ეს პრობლემა მოიხსნება.

**ნომადი ბართაია**, პოეტი, ირანისტი: თქვენი ნებართვით, ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხები. მე ირანისტი გახლავართ და პარალელს გავავლებ, რა მდგომარეობაა ირანში სახელმწიფო ენასთან მიმართებით. როცა ჟურნალისტები იგებენ, რომ უცხოელი ვარ, რომელმაც სპარსული ენა იცის, მოდიან და იმას კი არ მეკითხებიან, ჩვენი კულტურული ძეგლები თუ მოგეწონათო, არამედ როგორია სპარსული ენა, ხომ ტკბილხმოვანიაო და პასუხის მოლოდინში თვალები უციმციმებთ. ეს გახლავთ ენისადმი დამოკიდებულება. ეს სახელმწიფოს ნებელობიდან მოდის — სპარსულ ენაზე ზრუნვა, მოვლა იქ ოდითგანვე პრიორიტეტად არის დასახული. ირანში ყოველ ხუთ წელიწადში სპარსული ლექსიკონი გამოდის. იქ შემოტანილ, უცხო ტერმინს ვერ გამოიყენებ, თუ სპეციალური კომისია არ გაიარა. ჰამენეი მაინც უკმაყოფილოა — სპარსულ ენას სათანადოდ ვერ ვუვლითო. ჩვენ რა გვემართება? ყველაფერს სხვას ნუ დავაბრალებთ. იმედია, ეს შეხვედრა მხოლოდ საუბრით არ დასრულდება და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმევა.

**გია ალიბეგაშვილი**, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: მეცნიერებათა აკადემიას პირდაპირ ევალება ყოველივე



ქართულის ხელშეწყობა, განვითარება, ენის სახელმწიფოებრიობის დაცვა. თვითმყოფადობა თუკი რამეში გამოიხატება, ეს, პირველ რიგში, ენა გახლავთ. საბჭოთა კავშირის დროს ქვეყანაში საერთაშორისო ენა შიგნითაც არაქართული — რუსული იყო, ახლა ამ პროცესის ჩანაცვლება ხდება. განათლების სისტემა მოსაწესრიგებელია. ბავშვებს ქართულს ვერ ვასწავლით. პრობლემები უფრო ღრმაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. პრობლემები კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# პოლიტიკური სამყაროს ყველაზე ხმაურიანი სკანდალები

აკრძალული სექსუალური კავშირები, ფინანსური მაქინაციები და სახელმწიფო დოკუმენტების დანაშაულებრივი გაყალბება დიდი პოლიტიკის უკანა მხარეა. ამ საიდუმლოებებს მალავენ იმ იმედით, რომ პუბლიკა ამის შესახებ ვერასოდეს გაიგებს, მაგრამ ეს ისტორიები საზოგადოების ყურამდე მაინც აღწევს და მის აღშფოთებას იწვევს. ჟურნალისტები კმაყოფილებას განიცდიან, პოლიტიკოსები კი იძულებულები არიან, თავი იმართლონ.

**TEAPOT DOME.** ამ სახელით ცნობილი კორუფციული სკანდალი ამერიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი პოლიტიკური სკანდალი გახდა. ის უორენ ჰარდინგის პრეზიდენტობის დროს, XX ს-ის პირველ ნახევარში მოხდა.

**Teapot Dome** ჰქვია ნავთობის საბადოს, რომელიც ვაიომინგის შტატში სახელმწიფო მიწაზე მდებარეობს და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჭიროებებისთვის განსაკუთრებულ სიტუაციებში გამოყენებისთვისაა გათვალისწინებული. მაგრამ 1920-იან წლებში ბევრი პოლიტიკოსი მიიჩნევდა, რომ უფრო სარფიანი იქნებოდა ამ მიწების არენდით გაცემა და შს მინისტრმა ალბერტ ფოლმა, პრეზიდენტის თანხმობით, პირდაპირ, კონკურენტული ვაჭრობის გვერდის ავლით მოაწერა ხელი არენდის ხელშეკრულებას თავის მეგობართან, ნავთობის წარმატებულ მფლობელთან ედვარდ დოგენისთან. მადლიერების ნიშნად მან ფოლს 100 000 დოლარი აჩუქა. მალე ყველაფერი გაირკვა, აღმოჩნდა, რომ დოგენიმ თავის მეგობარ ფოლს, იმ 100 000 დოლარის გარდა, 300 000 დოლარის ღირებულების საჩუქრები გადასცა. 1927 წელს ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ ფოლი დამნაშავედ ცნო ქრთამის აღებასა და უფლებამოსილების გადამეტებაში და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ალბერტ ბ. ფოლი პირველი მოქმედი ამერიკელი მინისტრი გახდა, რომელიც ციხეში მოხვდა, უორენ ჰარდინგის ადმინისტრაციამ კი ისტორიაში ყველაზე კორუმპირებულის სახელი დაიმკვიდრა.

**პროფიუმოს საქმე.** „პროფიუმოს საქმეში“ გაერთიანებული სამეფოს არისტოკრატიის პიკანტური საიდუმლოებები, სახელმწიფო უშიშროების საფრთხე, მსუბუქი ყოფაქცევის გონიერი გოგონა და ერთი მომხიბვლელი საბჭოთა ჯაშუში ფიგურირებდნენ. ყველაფერი 1961 წელს სამხედრო საქმეების მდივნის ჯონ პროფიუმოსა და მოცეკვავე კრისტინ კილერის აკრძალული რომანით დაიწყო. ყველაფერს ის ართულებდა, რომ გოგონას პარალელურად ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა დიპლომატთან ევგენი ივანოვთანაც. როცა ცნობილი გახდა ამ სკანდალური სამკუთხედის შესახებ, საზოგადოება შოკში ჩავარდა — ამ გოგონას ორივე საყვარელს ხომ წვდომა ჰქონდა თავიანთი ქვეყნების სამხედრო საიდუმლოებებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის საიდუმლო ფაქტების გაჟონვა არ დადასტურდა, ჯონ პროფიუმოს თანამდებობის დატოვებამ მოუწია და ათწლეულობით ცდილობდა რეპუტაციის აღდგენას საქველმოქმედო ორგანიზაციებში უფასოდ მუშაობით.

**ინციდენტი ჩაპაკვიდიკში.** მას შემდეგ რაც ჯონ კენედი 1963 წელს დალასში მოკლეს, მისი უმცროსი ძმა, ედვარდი, სერიოზულად განიხილებოდა მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურად. ის ძმის წინასაარჩევნო კამპანიაში იღებდა მონაწილეობას, იყო მასაჩუსეტსის შტატის საოლქო პროკურორის თანაშემწე და დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ცნობადი და გავლენიანი წევრი. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ამაოდ...

1969 წლის 18 ივლისს პოლიტიკოსი მეგობრებთან დროის გასატარებლად გაემგზავრა კუნძულ ჩაპაკვიდიკზე. გალანტურ და სიტყვამოსწრებული ედვარდი ქალებში პოპულარობით სარგებლობდა. შეხვედრიდან გოგონასთან ერთად წამოსულმა მანქანის მართვა ველარ შეძლო და ავტომობილი წყალში ჩავარდა. თავად ედვარდს არაფერი დაშავებია, გოგონა კი მანქანაში დარჩა და წყალში დაიხრჩო. მამაკაცს არაფერი გაუკეთებია ქალის გადასარჩენად. ის სასტუმროში დაბრუნდა. მამაკაცი მოგვიანებით მივიდა პოლიციაში და ყველაფერი აღიარა. ედვარდს ორი თვით პირობითი სასჯელი მიესაჯა. შეინარჩუნა სენატორის ადგილი და 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც, მაგრამ კენჭი არ უყრია.



**2016 წლის სამხრეთკორეული სკანდალი.** 2016 წლის დეკემბერში სამხრეთ კორეის პარლამენტმა იმპიჩმენტი გამოუცხადა პრეზიდენტ პაკ კინ ხეს. აღმოჩნდა, რომ მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში ის ახლო მეგობრების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომლებსაც სახელმწიფო დოკუმენტებთან და სამხედრო საიდუმლოებებთან ჰქონდათ წვდომა. კერძოდ, უსაზღვრო ნდობით იყო აღჭურვილი მისი ბავშვობის მეგობარი, ბიზნეს-ლედი ჩხვე სუნ სილი. ჩხვე სუნ სილი წერდა პრეზიდენტის გამოსვლების ტექსტებს, ერეოდა სახელმწიფო საბჭოს საქმეებში და ქვეყნის ლიდერზე დიდი გავლენა ჰქონდა. გარდა ამისა, ქალმა კარგად გამოიყენა მდგომარეობა და კავშირების წყალობით სამხრეთკორეული ბიზნესკონგლომერატებისგან **(Samsung, Hyunda...)** უზარმაზარი თანხები მიიღო, რაც თავის ანგარიშებზე გადარიცხა.



მაგრამ სამხრეთკორეელების მოთმინება მაშინ ამოიწურა, როცა მათ შეიტყვეს, რომ ჩხვე სუნ სილმა საეჭვო ეკლესია „იონსეგიო“ დააარსა, რომელიც ტრადიციული ქრისტიანობისა და კორეული შამანიზმის ნაზავი გახლდათ.

2017 წლის 10 მარტს სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლომ პაკ კინ ხეს ოფიციალურად გამოუცხადა იმპიჩმენტი.

ექს-პრეზიდენტს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა და 17,8 მლნ დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დაეკისრა, ხოლო ჩხვე სუნ სილს 20 წლით პატიმრობა მიესაჯა.

**„ბუნგა-ბუნგა“.** ეს სკანდალი სილვიო ბერლუსკონისთან არის დაკავშირებული, რომელიც წარმატებული ბიზნესმენი და მედიამაგნატი იყო და მედიასთან ფართო კავშირების შედეგად ტრიუმფით მოვიდა დიდ პოლიტიკაში და იტალიელების წინაშე წარსდგა, როგორც მომხიბვლელი და მჭევრმეტყველი მილიარდერი, რომელმაც ყველაფერს საკუთარი ნიჭისა და შრომის წყალობით მიაღწია. ელექტორატის დახმარებით სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა.

1995 წელს დაიწყო ერთდროულად რამდენიმე გამოძიება პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ — მას ბრალს სდებდნენ ფინანსური დოკუმენტების გაყალბებაში, საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებულ მაქინაციებში, ქრთამის აღებასა და კორუფციაში. მომდევნო არჩევნებში რომანო პროდისთან წააგო, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ სამჯერ გახდა პრემიერ-მინისტრი. ყველაზე გახმაურებული სკანდალი, რომელიც ბერლუსკონის არკორში მდებარე სან-მარტინოს ვილა „ბუნგა-ბუნგას“ უკავშირდებოდა, 2010 წელს გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი.

სასამართლომ ბერლუსკონის 7 წელი მიუსაჯა, მაგრამ მისმა ადვოკატებმა იმდენი იბრძოლეს, რომ ყველა ბრალდება მოუხსნეს.

**სექსუალური სკანდალები დომინიკ სტროს-კანის მონაწილეობით.** ფრანგმა პოლიტიკოსმა, ეკონომისტმა, პარიზის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის პროფესორმა დომინიკ სტროს-კანმა მშვენიერი კარიერა აიწყო. მას მინისტრთა კაბინეტში მაღალი თანამდებობები ეკავა, 2011 წლიდან კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი გახდა, რომლის ოფისი ვაშინგტონში მდებარეობს. ამასთან, დომინიკი პოპულარულ პოლიტიკურ ფიგურად რჩებოდა სამშობლოშიც და 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც კი აპირებდა მონაწილეობის მიღებას. მაგრამ ყველაფერი ნიუიორკის სასტუმრო Sofitel Hotel-ში ერთ წუთში განადგურდა 2011 წლის მაისში, როცა სასტუმროს თანამშრომელმა პოლიციას მიმართა. გვინეის მკვიდრმა ნაფისატოუ დიალომ დომინიკი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. მამაკაცი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ დაზარალებულმა სამედიცინო დასკვნის საშუალებით შეძლო ფაქტის დადასტურება. დომინიკს სტროს-კანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს, მაგრამ მისმა ადვოკატებმა დაამტკიცეს, რომ მომჩივანმა რამდენჯერმა მოიტყუა, როცა დამალა აშშ-ში თავისი მიგრაციის ფაქტი და თავის ნათესავებთან დანაშაულებრივი კავშირების შესახებ.

საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ: სტროს-კანმა დიალოს 1,5 მლნ დოლარი გადაუხადა და მის წინააღმდეგ სს დევნა შეწყდა. პოლიტიკოსისთვის ამ ფაქტმა მძიმე შედეგები მოიტანა — მან დაკარგა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორის სავარძელი და შესაძლებლობა, გამხდარიყო საფრანგეთის პრეზიდენტი.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99